აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის დამატება ოქტომბერი 2018 წელი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - 70

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი 70 წლისაა. მნიშვნელოვანია ეს თარიღი ფილოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელისათვის, მაგრამ არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ავტორი იმ სახელმძღვანელოებისა, რომელთა მიხედვით XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი ისწავლება საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული მთელი თავისი მოღვაწეობით.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი დაიბადა 1949 წელს ვანის რაიონში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1966 წელს ჩაირიცხა და 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. 1974 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტთან არსებულ ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1983 წელს კი იმ დროისათვის საკმაოდ ახალგაზარდა ასაკში გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყებს ის თავის პედაგოგიურ საქმიანობას 1974 წელს, როგორც მასწავლებელი, შემდეგ კი უფროსი მასწავლებელი, 1978 წლიდან ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტია, 1984 წლიდან ჯერ ქართული ლიტერატურის კათედრის, ამჟამად კი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი და 1990 წლიდან ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელია, ხოლო 2012 წლიდან დღემდე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი უაღრესად საპასუხისმგებლო ადმინსტრაციულ თანამდებობებზე მსახურობდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. 1984 წლიდან 1990 წლამდე გახლდათ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წლები ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაქციისა და სადამსჯელო ღონისძიებების პერიოდი იყო, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტრის სტუდენტები კი განსაკუთრებით აქტიურები და გულანთებულები იყვნენ. მაშინდელი მათი დეკანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ აურჩევია წამოჭრილ წინააღმდეგობათა გადაჭრის სწორხაზობრივი და მარტივი გზა და ყოველთვის ახალგზარდების გვერდით იდგა. 1994-1996 წლებში ა. ნიკოლეიშვილი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია სამეცნიერო მუშაობის დარგში, 1996 წლიდან 2005 წლამდე - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა უჭირავს და კვლავ ცდილობს სიახლეები ნაკლებად მტკივნეული იყოს უნივერსიტეტისათვის.

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის პარალელურად ავთანდილ ნიკოლეიშვილი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობებსაც იჭერს. 1991 წლის აპრილიდან 2006 წლის მაისამდე ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო ლაბორატორიის გამგეა, 2006-2009 წლებში ამავე ცენტრის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ-მუშაკია. 2009 წლის სექტემბრიდან, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების შემდგომ, აწსუ-სთან არსებული სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ-მუშაკია. 2017 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილებას ხელმძღვანელობს და უცხოეთში, კერძოდ, თურქეთსა და ირანში, მცხოვრებ ქართველთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის მოძიებასა და მეცნიერულ შესწავლას ხელმძღვანელობს.

ცნობილი მკვლევარი ამ ყველაფერთან ერთად ნაყოფიერ სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობასაც ეწევა. ის ფილოლოგიური სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი და რედაქტორია: 2013 წელს მისი ხელმძღვანელობით აღდგა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე", ამჟამად ის ამავე ჟურნალის რედკოლეგიის წევრია, ასევე, არის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „ქართველური მემკვიდრეობის" პასუხისმგებელი რედაქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ - „ქართველოლოგის" რედკოლეგიის წევრი. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიერ გაწეული დიდი შრომისა და მეცნიერული კვლევა-ძიების თვალსაჩინო შედეგი, უპირველეს ყოვლისა, ისეთი მონოგრაფიებითა და წიგნებით დასტურდება, ქართული და არამარტო ქართული ლიტერატურის სპეციალისტები, გვერდს რომ ვერ აუვლიან. მათი ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით უნდა გამოიყოს. ეს გამოცემებია: მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა. ლიტერატურული პორტრეტები, თბ. გამ-ბა «საქართველოს მაცნე», 2018; ქართველოლოგიური ეტიუდები, ოთხტომელი, ქუთაისი, 2010, 2015, 2018; ლაზეთი. ისტორიულ-ლიტერატურული წიაღსვლები, თბ. გამ-ბა «საქართველოს მაცნე», 2016; ეტიუდები მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურიდან (მუზაფერ ქირთან ერთად. თურქულ ენაზე), თურქეთი, ანკარა, გამომცემლობა „გეჯე", 2016, ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, თურქეთის შავი ზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა, 2015, ქართველ მწერალთა ეროვნულ—პოლიტიკური მრწამსი, ორტომეული, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2014; ქართული ლიტერატურა ოთხ ტომად, ტ. III, მეოცე საუკუნე, ნაწილი I, ტ. IV, მეოცე საუკუნე, ნაწილი II, თბ. გამ-ბა «საქართველოს მაცნე», 2013, ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა, 2013; ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა, 2009; ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008; ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა, 2008 და სხვა. ამ საკმაოდ მცირე, თუმცა ძალზე შთამბეჭდავი ნუსხიდან კარგად ჩანს ბატონი ავთანდილის სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონი და მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევა-ძიების მასშტაბურობა.

ამ ხნის განმავლობაში ავთანდილ ნიკოლეიშვილის ძალისხმევით თაობები აღიზარდნენ და ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. მრავლისმთქმელია, რომ მისი ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაცია იქნა დაცული და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამით არ შემოიფარგლება აღიარებული ქართველოლოგის, როგორც ხელმძღვანელის, ურთიერთობა ახალგაზრდა მკვლევრებთან. ის ნაყოფიერად თანამშრომლობს თავის ყოფილ დოქტორანტებთან, ზოგადად, კოლეგებთან და მათთან ერთად საგულისხმო საგარანტო პროექტის იდეის ავტორი და ხორცშემსხმელი გახდა. ამგვარად განხორციელდა 2011 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტისა და სამარიის (ისრაელი) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო პროექტი: ქართულენოვანი მწერლობა ისრაელში, 2013 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტის ფარგლებში შეიქმნა და გამოიცა უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია სათანადო სამეცნიერო ნარკვევის, შენიშვნებისა და კომენტარების თანდართვით, რომელმაც საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ამჟამად მისი კონსულტირებით თურქეთის რესპუბლიკაში ხორციელდება საგრანტო პროექტი: „ოსმალეთსა და ევროპაში XVIII და XIX საუკუნეების ქართველ მოგზაურთა მოგზაურობის ამსახველი დღიურების თარგმნა თურქულად".

აღსანიშნავია, რომ ის 2017 წელს მევლანას საერთაშორისო პროგრამით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ რიზეს რეჯებ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

ზემოაღნიშნული მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ ღვაწლისა, რომელიც ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს მიუძღვის ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, რაც საყოველთაოდაა აღიარებული. ის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და გერცელ ბააზოვის პრემიების ლაურიატია, ასევე, არაერთი საყურადღებო სიგელის მფლობელია, მათგან აღსანიშნავია: იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის სერთიფიკატი - „ჩვენი კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის", სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიგელი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაყოფიერი და წარმატებული მეცნიერის მიერ გაწეული ძალისხმევა მის მიერ არამხოლოდ განვლილ, არამედ ამჟამადაც ძალზე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაზე მიგვანიშნებს. ის არის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ამ საზოგადოების იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელი; საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე და ამ საზოგადოების ჟურნალ „ნოსტალგიის" რედაქტორ-გამომცემელი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი; ქუთაისის, ვანისა და ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე; საზოგადოება „ქუთაისელის" პრეზიდიუმის წევრი. ქალაქ ქუთაისის პატივგების კომისიის წევრი.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ბატონი ავთანდილის ღვაწლს, ამასთანავე, კარგად წარმოაჩენს მის დამსახურებას ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებისა თუ ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა აღზრდის საშვილიშვილო საქმეში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ულოცავს ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს საიუბილეო თარიღს, უსურვებს მას ხანგრძლივ წარმატებით სავსე ცხოვრებას, დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ქვეყნის, ქალაქის, უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ, არასდროს მოკლებოდეს სტუდენტთა და კოლეგათა პატივისცემა, ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარული, რომელიც დიდი ფუფუნება და ყველაზე ღირებული ჯილდოა, განვლილი წლების სანაცვლოდ რომ მოდის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ავთანდილ ოთარის ძე ნიკოლეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ავთანდილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ—ერთ ჩინებულ წარმომადგენელს, მშვენიერ შემოქმედსა და ლიტერატურისმცოდნეს, თანამედროვე კრიტიკული აზროვნების გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო მწერლური ცხოვრება. 1965 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ პოეტური კრებულებიც გამოაქვეყნეთ და ყურადღება მიიპყარით, როგორც მშვენიერმა ლირიკოსმა, ორიგინალური და თავისთავადი ხელწერის მქონე პოეტმა.

და მაინც, თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ღრმად ერუდირებული და ფართო თვალსაწიერის მქონე ლიტერატურისმცოდნედ გიცნობენ. თქვენი მონოგრაფიული ლიტერატურისმცოდნეობითი კრებულები (“გამოძახილი”, “ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე”, “გაბრიელ ეპისკოპოსი”, “ნაკადები”, “ხიბლი რომანისა”, “თვალთახედვა”, “ლიტერატურული ეტიუდები”, “XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები” (შვიდ ტომად), “პაოლო იაშვილი”, “ტიციან ტაბიძე”, “ნიკო ლორთქიფანიძე”, “გიორგი ლეონიძის ლირიკა”, “მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა”, “ქართველი მწერლები და აფხაზეთი”, “ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში”, “ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ”, “საქართველო, ისტორია და დღევანდელობა”, “ქართველ მწერალთა ეროვნულ—პოლიტიკური მრწამსი” (ორ ტომად), “დავით წერეთელი”) უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ლიტერატურისმცოდნეობისა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი წვლილი ქართული ემიგრანტული ლიტერატურის და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში. თქვენი წიგნები — “ქართული ემიგრანტული მწერლობა”, “ქართველოლოგიური ეტიუდები” (ოთხ ტომად), “ქართულენოვანი ფოლკლორი და მწერლობა თურქეთში”, “ლაზეთი, ისტორიულ—ფილოლოგიური წიაღსვლები”, “თურქეთის შავიზღვისპირეთში — ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან”, “თურქული დღიურები”, “ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში”, “ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან” სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს მათთვის, ვინც უცხოეთში მოღვაწე ქართული მწერლების ნააზრევითაა დაინტერესებული.

მნიშვნელოვანი დამსახურება მიგიძღვით ქართულ—ებრაული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლაში, რისი დასტურიცაა თქვენი ისეთი საყურადღებო წიგნები, როგორებიცაა “დავით და გერცელ ბააზოვები”, “ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ—პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან” (ორ ტომად), “ებრაული თემა ქართულ მწერლობაში”...

ყველა ამ წიგნში ნათლად გამოჩნდა თქვენი დახვეწილი გემოვნება, ალღო, საკვლევი მასალის ღრმა ცოდნა, ფართო თვალსაწიერი.

გვახარებს, რომ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირეთ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო—სასწავლო ცენტრის კედლებში დაიცავით როგორც საკანდიდატო (“სიმონ ჩიქოვანის პოეზია” — 1974), ისე სადოქტორო (“ქართული ლირიკა. XX საუკუნის 60—იანი წლები — 1983) დისერტაციები. წლების განმავლობაში იყავით ქსუ—ს ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ქართული ლიტერატურის დეპარტამენტისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1996—2005 წლებში რექტორი იყავით და დიდი, ფასეული წვლილი შეგქონდათ ქართული სამეცნიერო აზროვნების წინსვლაში. ხართ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ “ქართველური მემკვიდრეობის” პ/მ რედაქტორი, რუსთაველის საზოგადოების იმერეთის რეგიონალური განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველო—ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ამავე საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე...

არჩეული ხართ გელათის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის, ნიუ—იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის, ლიტერატურათმცოდნეთა აკადემიის, ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოსად.

თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი სამწერლო თუ მეცნიერული მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გერცელ ბააზოვის სახელობის, ქართულ—ევროპული ინსტიტუტის (პარიზი), საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალ “განთიადის” პრემიები.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. არჩეული ხართ ქუთაისის, ვანის და კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქედ. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრად. არჩეული ხართ საუკუნის 200 საუკეთესო ინტელექტუალს შორის. თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ მონიჭებული სიგელი...

ძვირფასო ავთანდილ!

ჩვენს აღტაცებასა და პატივისცემას იმსახურებს თქვენ მიერ განვლილი უაღრესად წონადი და ფასეული ცხოვრებისეული გზა.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ავთანდილ!

ჩვენს დიდი ხნის ხელმძღვანელს, უფროს კოლეგასა და მეგობარს, ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს გულწრფელად ვულოცავთ გამორჩეულ იუბილეს. მისი თაოსნობით და მუხლჩაუხრელი შრომითაა, რამდენიმე ათეული წელი ქართული ლიტერატურის მიმართულება (ადრინდელი ცალკე კათედრა) ძველ ტრადიციებს რომ არ ღალატობს და არაერთი საგულისხმო წამოწყების ინიციატორი იყო და ამჟამადაც წარმატებით აგრძელებს გზას.

ბატონი ავთანდილი საქვეყნოდ ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, აღიარებული მეცნიერ-მკვლევარი გახლავთ. მისი მიღწევები ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საამაყოა და, ამასთანავე, საპასუხისმგებლო. ამიტომაცაა, რომ ჩვენი მიმართულების წევრები ყოველ დრო-ჟამს „მწყობრში დგანან”. თავად ბატონი ავთანდილის პიროვნული ღირსებებიც უწყობს ამას ხელს. განსაკუთრებით კი ის, რომ მტკიცე ოჯახურ პრინციპზე უნდა აგებულიყო ჩვენი ერთიანობა და ასეც მოხდა, კოლეგიალობითა და ურთიერთთანამშრომლობით, ერთმანეთისადმი პატივისცემით გვეშრომა, გვემოღვაწა. არაერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაგვადგმევინა ამგვარი პრინციპის დაცვამ. გარდა იმისა, რომ ჩვენი მეგობრები შესანიშნავი პედაგოგები არიან, ნებისმიერ პროფესიულ ღონისძიებას, ადგილობრივსა თუ უფრო მასშტაბურს, ერთ გუნდად შეკრული ვატარებთ და შედეგებიც ყოველთვის სახარბიელოა.

ბატონ ავთანდილს ჩვენი არაერთი წამოწყებისათვისაც დაუჭერია მხარი, გზა მიუცია მისთვის და მისივე ჩვეული გულმოდგინეობით საქმე ბოლომდე მიუყვანია.

უდავოდ დასაფასებელია და ვაფასებთ კიდეც, რომ უამრავმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა რეგალიამ ბატონ ავთანდილს გამორჩეულობის პრეტენზია არ დაატყო, ამიტომაცაა იგი რჩეული, უბრალოებით ამაღლებული, თითოეული ჩვენგანისათვის მაგალითის მომცემი.

სათქმელიც ბევრი გვაქვს და ამ საიუბილეო განწყობისათვის შესაფერისი მოფერებაც, დაულეველი სურვილებიც, თქვენდამი, ბატონო ავთანდილ! ეს მომცრო წერილი კი არა, ათასობით ფურცელიც ვერ გაწვდება მათ. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და გაშრომოთ, ჩვენთან ერთად ყოფნით, ჩვენგან განუშორებლობით!

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ლიტერატურის მიმართულება

ჩემო ავთანდილ!

დრო ისე სწრაფად გარბის, რომ ერთმანეთის დანახვასაც ვერ ვასწრებთ. შენმა 70—მა წელმა კიდევ ერთხელ გამახედა ჩემი პირადი ბიბლიოთეკის იმ მძიმე თაროსკენ, სადაც შენი წიგნები მიწყვია. შენ კარგად იცი, ეს თარო ერთხელ და სამუდამოდ რიდდაშვებული არ არის. ჩემთვის იგი სამუშაო თაროა. თითქმის ყოველდღე მიწევს შენს წიგნებთან მისვლა, გადმოღება, გადაფურცვლა, კიდევ ერთხელ წაკითხვა, რადგანაც შენ ლიტერატურის შეუცვლელი მატიანე და არბიტრი ხარ. შენგან ბევრ რამეს ვსწავლობ და დიახაც, მეამაყება, რომ ლიტერატურის უძნელესი გზა ასე სასახელოდ და ლამაზად გაიარე. თუ ვინმეს შემოქმედებითი ენერგია და მეცნიერული თვითდისციპლინა მაოცებს, ერთი შენა ხარ. ძველი რომაელები იტყოდნენ: “ნულა დიე სინე ლინეა” (“არც ერთი დღე ხაზის გარეშე”). მართლაც შენი ცხოვრება ყოველდღიურ აღმოჩენებსა და დაუმცხრალ შემოქმედებით ძიებაში გადის. ვერც ერთმა ოფიციალურმა თანამდებობამ — რექტორობამ, კათედრის გამგეობამ, რედაქტორობამ, აკადემიის ვიცე—პრეზიდენტობამ... შენი მთავარი მოწოდებისთვის და მთავარი საქმისთვის თითქოსდა წუთიც კი არ დაგაკარგვინა. და აი, შენი უმდიდრესი ლიტერატურულ—მეცნიერული მოსავალი: შენ მწერლობაში ფეხის შემოდგომისთანავე მშვენიერ ლექსებს რომ თავი დავანებოთ, იკისრე თანამედროვე რთულ ლიტერატურულ პროცესებში გზამკვლევის ძნელი მისია. ერთიმეორეს მიაწყვე უაღრესად საინტერესო გამოკვლევები და სახელმძღვანელოები უახლესი ქართული ლიტერატურის შესახებ. ამ დიდი საქმის კვალდაკვალ, რაიც ერთ მოღვაწეს სიგრძედაც ეყოფოდა და სიგანედაც, მეცნიერულ წრე—ბრუნვაში შემოიტანე ჩვენი ძნელბედობის გამო განთესილი, მაგრამ სულით ქართველი თანამოძმეების, ლაზების და თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების შემოქმედება. ქართველთა უპირველეს ისტორიულ მეგობრებს ებრაელებსაც დიდი პატივი დასდე იმით, რომ შექმენი სპეციალური ჟურნალი ქართველთა და ებრაელთა ძმობისადმი მიძღვნილი და არაერთი მშვენიერი ფაქტი შესძინე კულტურის ისტორიას ამ ორი ერის ურყევი მეგობრობისა.

სხვა რა გითხრა, ძმაო. ტკბილმოუბარი ლექტორი, ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის გულისხმიერი და ყურადღებიანი, არაერთი მეცნიერის აღმზრდელი და დამფრთიანებელი და, რაც მთავარია, კრისტალივით სუფთა და უანგარო პიროვნება — ასეთად გიცნობს საქართველო.

გაგიმარჯოს, ჩემო ავთანდილ!

რევაზ მიშველაძე

შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

ციდან არაფერი ცვივა

როგორც ეგზიუპერი იტყოდა, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

მოვდივართ და არ ვჩერდებით.

გაჩერება სიკვდილს ნიშნავს.

სიკვდილი დასასრულია.

დასასრულის არსებობა გვაღელვებს და საფიქრალს გვიჩენს.

დასასრულამდე?!

ნახევარზე მეტი გზა შეურცხვენლად, შრომით, წვალებით, ღვთის შემწეობით გაიარეთ.

შესაშური ნებისყოფით და შრომისმოყვარეობით მუდამ ბრძანდებოდით სამაგალითო, წარმოჩინებული. შეგეძლოთ, მსუბუქად გეტარებინათ ტვირთი მეცნიერის, შემოქმედის, მოქალაქის.

მოკრძალებული და თამამიც, ყოველთვის ახერხებდით, სიჩუმითაც გეხმაურათ. სიჭაბუკეში ლექსების მშვენიერი კრებული გამოაქვეყნეთ, მერე ლიტერატურული კვლევა- ძიება და ახალი ლიტერატურული აღმოჩენები დაისახეთ მიზნად.

წინდახედული და ენაძვირი კაცი ბრძანდებით, იოლად არც არავის დაუმეგობრდებით და არც არავის გაიმეტებთ.

ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ იყო ჩვენი საერთო, მამოძრავებელი ძალა, გამმთლიანებელი და საიმედო ნავთსაყუდელი.

ბატონო ავთანდილ,

არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ტიტული, თქვენს ბიოგრაფიას რომ არ ამშვენებდეს.

ციდან არაფერი ცვივა, ყველაფერი გარჯითა და შრომით გაქვთ მოპოვებული, ნიჭითა და შრომით დაანახეთ საზოგადოებას თქვენი მისაბაძი ღირსებები, გვეამაყებით და პატივს გცემთ.

არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი თქვენი მოღვაწეობის პერიოდში, რომ არ გამოხმაურებოდით და მოვლენები ისე არ შეგეფასებინათ, როგორც ჭეშმარიტება მოითხოვდა.

აღარ ჩამოვთვლით იმ მიღწევებსა და ტიტულებს, დღემდე რომ მოგიპოვებიათ.

წინ კიდევ დიდი გზაა, ბევრი საქმეა საკეთებელი.

იყავით ბედნიერი თქვენი ოჯახით, შვილებით, კეთილისმყოფელებით.

ეცადეთ, უფრო მხნედ გამოიყურებოდეთ, დარჩეთ მაგალითად და ლიდერად ისე, როგორც დღემდე ბრძანდებით.

მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაცია, საზოგადოება „ქუთაისელი", გაზეთ „უქიმერიონისა" და ჟურნალ „მერმისის" სარედაქციო კოლეგები, ქუთაისის საპატიო მოქალაქებთან ერთად გილოცავთ საიუბილეო თარიღის — 70 წლის შესრულებას.

გისურვებთ წარმატებებს მომავალ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

გაგიმარჯოთ,

იღღეგრძელეთ.

პატივისცემით

თეიმურაზ ლანჩავა

ვულოცავ!

ავთანდილ ნიკოლეიშვილს ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გალერეაში გამორჩეული ადგილი უკავია. იგი ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა (მე ვიტყოდი - ლიტერატურის ისტორიკოსთა და ზოგადად ისტორიკოსთა) მაღალი რანგის კოჰორტის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. არ მახსოვს ქართული კულტურის სფეროში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ავთანდილ ნიკოლეიშვილის აქტიური მონაწილეობის გარეშე. გამჭვირვალე იყო მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე. მთავარი ერთია - ბატონი ავთანდილი შესანიშნავი ლექტორია და ამ მხრივ სათანადო პატივისცემა და სიყვარული აქვს დამსახურებული.

არ შემიძლია გამოკვეთილად არ აღვნიშნო - წარმატებული იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ავთანდილ ნიკოლეიშვილის საქმიანობა. იგი თითქმის ათი წლის მანძილზე საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს წევრი იყო. ქუთაისის უნივერსიტეტი დღესდღეობით ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია (გულწრფელად ვამაყობ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ უნივერსიტეტის პროფესორი ვიყავი, ლექციებს ვკითხულობდი, საქართველოს ისტორიაში და აქ ბატონი ავთანდილის წვლილი დიდია).

ცალკე და განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბატონი ავთანდილის სამეცნიერო მოღვაწეობა. გამოვარჩევდი მის ორტომეულს, რომელიც ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გადმოცემას მიეძღვნა. ამ პრობლემების მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენი სამშობლოს - საქართველოს წინაშე მძიმე სიმწვავით მდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულებებს. ორტომეულში მოცემული გამოკვლეული მასალა, შეიძლება ითქვას, მთელ ქართულ მწერლობას მოიცავს - დაწყებული იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან" და დამთავრებული გალაკტიონ ტაბიძის და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით.

მთელი ეს ნაშრომი ზოგადად ფასეულია იმითაც, რომ დასმულია საკითხი საქართველოს მომავლისა - როგორ უნდა გააგრძელოს თავისი გზა ქართველმა ერმა, საით უნდა წავიდეს, ვისთან ერთად უნდა იყოს? ორტომეულში არის სერიოზული მცდელობა პასუხი გასცეს ამ, ერთი შეხედვით რიტორიკულ, კითხვებს, ყველა ეპოქისათვის დიდ ამ პრობლემას. გარდა ზემოთ დასახელებულ „ორტომეულში" შესული მასალისა, ბატონ ავთანდილს მონოგრაფიულად აქვს გამოკვლეული გაბრიელ ეპისკოპოსის, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძის, დავით და გერცელ ბაზოვების და სხვა ღირსეულ მამულიშვილთა მოღვაწეობა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი დღესაც დიდ და კეთილშობილ საქმეებს აკეთებს. ვფიქრობ, ასე იქნება მომავალშიც. ამჯერად იგი იუბილარია - 70 წლისა შესრულდა.

ბატონო ავთანდილ, წარმატებები იყოს თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების მარადიული თანამგზავრი.

როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი

სიმღერა ავთანდილისა

ჩემი დიდი სეხნიის, შოთა რუსთაველის გმირები — ნესტანი, თინათინი, ტარიელი და ავთანდილი მთავარი პერსონაჟები არიან. ყოველი მათგანი პირველია და მათ შორის მეორე და მესამე არ არსებობს. ავთანდილი მისი ავტორისა და მკითხველის საყვარელი გმირია. ანდერძი ავთანდილისა ლირიკული ლექსივით იკითხება და სიბრძნის წყაროა... — ამ ასოციაციებს აღვიძებს მკითხველში ჩემი ძვირფასი ნათლიის შემოქმედება.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა 2002 წელს ხელახლა გამოსცა მშვენიერი პოეტური კრებული. „გამწყრალ მუზას" ჩააქსოვა თავისი სულისა და გულის სიღრმეში მფეთქავი მუხტი და თითქოს ამოწურა პოეზიის ენაზე თავისი სათქმელი. ეს პოეტური კრებული ჩემში ავთანდილის სიმღერის ასოციაციას იწვევს. როცა სევდა მომეძალება, ამ კრებულს ვკითხულობ და ვგრძნობ, თუ როგორ ვშშვიდდები შინაგანად.

მადლობა ჩემი ნათლიის ნათლიას, რომ სახელად ავთანდილი დაანათლა. ჩემი ფიქრით და არა მარტო ჩემი, შვიდი ათეული წლის მანძილზე იმდენი რამ შექმნა, ერთი კი არა, სამი სიცოცხლე არ ეყოფა. ათ სქელტანიან ტომს უდრის ძვირფასი ავთანდილის ლიტერატურათმცოდნეობაში შექმნილი ეროვნული ცნობიერებით აღბეჭდილი ეტიუდები და ესეები, XX საუკუნისა და მთლიანად უახლესი ქართული მწერლობის ისტორია ხელისგულზე გადაგვიშალა, ყველა ჩინებულ და უჩინო მწერალს პატივი მიაგო და თავისი ადგილი მიუჩინა. იგი სრულიად თავისუფალია იდეოლოგიური კონიუნქტურისაგან. ავთანდილმა პატივი მიაგო ქართულ ემიგრანტულ მწერლობას და ბევრი, დავიწყებას მიცემული სახელი დაუბრუნა სამშობლოს. ისიც მამულიშვილური ღვაწლია, რომ მშობლიური მწერლობის მიღწევები გააქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი პროფესორი ცხრა წელი ღირსეულად უძღვებოდა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტს.

ძვირფასი ავთანდილი გახლავთ უკეთილშობილესი რაინდი, დიდი კაცი, დიდი ქართველი, რომელიც სამშობლოს არაფერს თხოვს, პირიქით — ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მისცეს თავის ხალხს და ქვეყანას. სწორედ რომ ასეთი ადამიანები გვაკლია ხელისუფლების უმაღლეს იერარქიაში.

სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს ჩემს ძვირფას ნათლიას. ვულოცავ მის დიდებულ ოჯახსა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტს, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ისინი ბედნიერები არიან, რომ მათ გვერდით მოღვაწეობს გამოჩენილი პროფესორი და მწერალი ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

შოთა ზოიძე

***

თანამედროვე ქართული მწერლობის დიდი მკვლევრის ავთანდილ ნიკოლეიშვილისთვის ერთნაირად მოუმადლებია უფალს ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა, რაც ნათლად არის გამოვლენილი მის მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წერილებსა და წიგნებში.

ასევე უხვად მოუმადლებია მისთვის უფალს სათქმელის აკაკისეული სისადავით გადმოცემის უნარი, რაც არც თუ ისე იოლი მისაღწევია.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნები სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნებია იმ დარგში, რომლის ყვავილებს ფუტკარივით დასტრიალებს თავს მკვლევარი უკვე სამ ათეულ წელზე მეტია.

რა კარგად უკვალავს იგი გზას მკითხველს მშობლიური მწერლობის სანახებში!

სრულიად სიახლით აღიბეჭდა ბოლო წლები ავთნდილ ნიკოლეიშვილის მოღვაწეობაში.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი: ამ გლობალიზაციის შემოტევის ხანაში, როცა გაუფასურება ხდება ეროვნული ღირებულებების, ბატონმა ავთანდილმა, თავისი მადლმოსილი კალმით, ეროვნულობის სადარაჯოზე გადაიტანა ყურადღება და თავს დასტრიალებს იგი, საუკუნეების წინ, ბედის უკუღმართობით, სამშობლოდან აყრილი ჩვენი სისხლ-ხორცის უმტკივნეულეს თემას.

მკითხველმა, მისი არა ერთი და ორი, დიდი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული წერილი და წიგნი მიიღო ამ მიმართულებით, კერძოდ, თურქეთსა თუ ირანში საუკუნეთა წინ გადასახლებულ ქართველებზე.

მაქვს ბედნიერება, ახლოს ვიყო ამ კეთილშობილებით სავსე ადამიანთან და ვმეგობრობდე მასთან. რა ფაქიზი სულის, რა სუფთა, რა ზნეობრივი, რა ალალ-მართალი, რა მოსიყვარულე, რა უბრალო და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებაა იგი.

მასთან ყოველი შეხვედრა, რაღაც სიახლეს გძენს და კეთილად განგაწყობს.

დიდხანს უმყოფოს სამშობლოს ავთანდილ ნიკოლეიშვილი ისეთივე ენერგიით სავსე, როგორც არის დღეს.

ნომადი ბართაია

მრავალმხრივი შემოქმედი

იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა მწერლები და მეცნიერები ტოვებდნენ ქუთაისს და თბილისისაკენ ეშურებოდნენ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ამ უძველეს ქალაქს, შეინარჩუნა და გააგრძელა ლიტერატურული ტრადიციები, აღზარდა თაობები, დაწერა შესანიშნავი წიგნები.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარია. ამ პერიოდს მიუძღვნა მრავალი საინტერესო ნაშრომი. მაგრამ მისი თვალთახედვის არეში მოქცეულია ქართული კულტურის სხვა პრობლემებიც, რომელთაც ასევე დიდი ცოდნითა და გატაცებით იკვლევს.

ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას კოლეგას დიდხანს ეღვაწოს ქართული მწერლობისა და მეცნიერების სასიკეთოდ.

სოსო სიგუა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

პირველი შემთხვევაა, წერილობით ვულოცავ ერთ დიდებულ ადამიანს დაბადების დღეს და თავშივე დავრწმუნდი, რომ სიტყვებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, აღწერონ თქვენი თვისებები და ჩემი გულის გრძნობები თქვენდამი. თქვენი ყოველთვის ღიმილიანი სახე, რაც თქვენი კეთილი გულის ანარეკლია და მეგობრებსა და სტუდენტებს ენერგიასა და იმედს აძლევს, მრავალჟამიერი ყოფილიყოს! იმერეთის სიამაყე ხართ როგორც აკაკი, ქართული მეცნიერების ვარსკვლავი ხართ და საქართველოს დიდებული შვილი!

ბატონო ავთანდილ!

მინდა მთელი ფერეიდნის სახელით, გულით და სულით მოგილოცოთ დაბადების დღე. დიახაც მთელმა საქართველომ უნდა იზეიმოს ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების მედროშისა და დარაჯის გაჩენის დღე!

ეამაყებით საქართველოს! ვამაყობთ თქვენით!

საიდ მულიანი
პროფესორი

მოლოცვა სტამბოლიდან

ბატონო ავთანდილ,

შოთა რუსთაველის სახელობის სტამბოლის კულტურის ცენტრი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. გვინდა კიდევ ერთხელ გითხრათ მადლობა იმისათვის, რომ ამ ცენტრის დაფუძნების დღეს თქვენ სპეციალურად ჩამობრძანდით სტამბოლში, ჩვენს გვერდით იმყოფებოდით და გაიზიარეთ ჩვენებურების სიხარული ამ დიდი მოვლენის გამო.

ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ღვაწლი თურქეთელი ქართველების მიერ ისტორიული სამშობლოს უკეთ გაცნობის დიდ საქმეში, რისთვისაც აქაურ ქართველებს ძალიან უყვარხართ.

გვახსოვს თურქეთში თქვენი ხელმძღვანელობით ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებიც ჩვენებურების უკეთ გაცნობას და ჩვენი ცხოვრების უკეთ შესწავლას ეძღვნებოდა. ჩვენთვის უძვირფასესია თქვენი ის წიგნები, რომლებიც ამ საკითხებს მიუძღვენით.

გასული წლის მაისში ჩვენ დიდი სიამოვნებით გიმასპინძლეთ სტამბოლში და ქართული კულტურის ცენტრში მოვაწყვეთ ამ წიგნების პრეზენტაცია. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, თუ რამდენი შრომა და სიყვარული ჩადეთ თქვენ ამ წიგნებში. აქაურ ქართველობას დიდ დახმარებასა და თანადგომას უწევთ მათთან აქტიური ურთიერთობებით. თქვენი წიგნებით აშუქებთ ჩვენი წინაპრების ისტორიას, საქართველოს აცნობთ თურქეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველებს. ჩვენ ბევრი ახალი რამ გავიგეთ და ვისწავლეთ თქვენი წიგნებიდან.

ჩვენ ძმები ვართ და ძალიან დიდ პატივს გცემთ. თქვენ ჩვენი უღალატო მეგობარი ხართ, რისთვისაც ძალიან გვიყვარხართ. გვიხარია, რომ თქვენ სტამბოლის ხშირი სტუმარი ბრძანდებით და აქ მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრებს მართავთ ხან ქართული კულტურის ცენტრში და ხან შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ყველა კეთილ საქმეში!

შოთა რუსთაველის სახელობის
კულტურის ცენტრის სახელით

სალომე ბარამიძე
(სეზენ გონენჩ-ოზქანი)
სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;

ორჰან ბერიძე
სტამბოლის შოთა რუსთაველის
სახელობის კულტურის ცენტრის
დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს ანუ ჩვენებური ხა-არ შენე?

ღრმად პატივცემულო ბატონო ავთანდილ, სულითა და გულით გილოცავთ თქვენ, ქართული ლიტერატურის უსაჩინოეს მკვლევარს, სტუდენტთა უსაყვარლეს ლექტორს, საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთ დიდად დამაშვრალ ორგანიზატორს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის- დეპარტამენტის უზადო ხელმძღვანელს, მწერალს, პუბლიცისტს, სხვადასხვა ჟურნალის რედაქტორს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ჭეშმარიტ ამაგდარს დაბადებიდან 70 წლის ღირსეულ იუბილეს და გისურვებთ კიდევ დიდხანს გემოღვაწოთ ესოდენ ხვავრიელად სრულიად საქართველოსა და ქუთაისის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

წინა ჩამოთვლის ბოლო პუნქტიდან დავიწყებ და ბარემ ამ ოფიციალური ტონიდან იმ მეგობრულ კილოზე გადავალ, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენს რამდენიმე ათეული წლის ისტორიის მქონე ურთიერთობას. სწორედ ამიტომ გავკადნიერდი და ჩემს სიყვარულით შედგენილ ბარათს ქუთაისის ქართველ ებრაელთა ინტონაციით გამართული ქვესათაური დავურთე. დიახ, შენ მართლაც ქართველთა და ებრაელთა ნამდვილი მეგობრობის მებაირახტრე და საყვირი ხარ (და არა რაღაც საეჭვო და თითიდან გამოწოვილ ფაქტებზე დაყრდნობილი ურთიერთობისა, როგორც უკანასკნელ ხანს მოგვიმრავლდა) ყოველგვარი კონიუნქტურისგან დამოუკიდებლად. შენი მრავალზე მრავალი საქმეის შესახებ სხვებიც იტყვიან, მე კი ამ სფეროზე შევჩერდები და რამდენიმე ფაქტს გამოვყოფ.

უპირველეს ყოვლისა, სიტყვა „ჩვენებური" სათაურში გამოჩენას ავხსნი: ამ სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ახლობლობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულისა, ყველა ქართველს კარგად მოეხსენება, მაგრამ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მას კიდევ უფრო მეტი, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს - სიახლოვის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს - ქართველი ებრაელები თავიანთ მეტყველებასაც კი „ჩვენებურულს" უწოდებენ. აი, ასეთი გაგებით შეიძლია გიწოდო ჩვენებური.

მარტო იმ დიდი რუდუნებით დაგროვილი მასალის გამოშზეურება და ანალიზი რად ღირს, რაც შენ დავით და ჰერცელ ბააზოვებს მიუძღვენი. შენ არსებითად შემოუბრუნე აღრე წასული (დასჯილი) ჰერცელ ბააზოვი ქართულ მწერლობას და გზად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართველ ებრაელთა პრესის სათავეებიც გაათავისებინე თანამედროვე მკითხველს.

ერთ, იქნებ, საჩოთირო თემასაც მინდა შევეხო: შენ ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის პიონერი ხარ, ფაქტობრივად, მრავალი უცნობი ქართველი შემოქმედი გამოიყვანე საშზეოზე. არანაკლები ღვაწლი მიგიძღვის ისრაელში მოღვაწე ქართულენოვან მწერალთა წარმოჩენაშიც. საჩოთირო-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ვერამც და ვერამც ვერ დავეთანხმები, რომ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს და მათ შორის მწერლებსაც ემიგრანტები ვუწოდოთ - ისინი თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნათელია, რომ მათი ნაწარმოებები ქართულ ენაზე, არა იმ ქვეყნის ენაზე იქმნება და მათს ანალიზს შენნაირი კაცის ხელი და თვალი სჭირდება, რათა ღირსეული მიუზღოს, ჭეშმარიტ მწერალს ეს სახელი უწოდოს, შემთხვევით მიტმასნილს კი მოიარებით მაინც მიუჩინოს ადგილი. სმამაღლა მინდა ვთქვა, რომ ამას შენთვის ესოდენ დამახასიათებელი ტაქტითა და იმავდროულად ლიტერატურის კრიტიკოსისათვის მიუცილებელი სამართლიანობის დაცვით აკეთებ.

მე მგონი, გამიგრძელდა სიტყვა და შეგაწყინე თავი, თორემ მე შენი დიდკაცობისა და მაღალნიჭიერების შექება არასოდეს მომწყინდება. ამიტომ დაგემშვიდობები შენთვის კარგად ცნობილი ებრაული დალოცვით: ად მეა ვეესრიმ - ას ოც წლამდე, ჩემო ძვირფასო მეგობარო,

მრავალჟამიერ!

რეუვენ ენობი,
არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტის ებრაული მემკვიდრეობის განყოფილების სრული პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

* * *

ძვირფასო ავთანდილ,

გილოცავთ 70 წლის იუბილეს!

თქვენ ბრძანდებით ღირსეული პიროვნება, გონიერი კაცი და კარგი მეგობარი. იმედი მაქვს, ასე გაგრძელდება მომავალშიც, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.

ჩვენ ხშირად და დადებითად ვფიქრობთ თქვენზე ისრაელში.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს!

თქვენი მეგობარი

ორციონ ბართანა
არიელის უნივერსიტეტის (ისრაელი) ებრაული მემკვიდრეობის
განყოფილების პროფესორი, ებრაული ლიტერატურის
კათედრის გამგე, ჟურნალების:
„ებრაული მემკვიდრეობა" და „სიმართლე"
მთავარი რედაქტორი, თელ-ავივის ფონდის, ბრენერისა და ვოლფის
პრემიების ლაურეატი

* * *

ისპაჰანიდან გილოცავთ
დაბადების დღეს!
გისურვებთ:
შენი სამყაროს სიუხვით სავსეს!
შენი ხელები სიმდიდრით სავსეს!
შენი თვალები სხივებით განათებულს!
შენი ცხოვრებას დამაკმაყოფილებელს!
და შენი დასასრული მშვიდობიანი
დასასრული იყოს!
ბედნიერებას და ჯანმრთელობას
გისურვებთ.
გელოდებით ისპაჰანში ჩვენთან!
კარგად იყავით!

ჰელენ იოსელიანი
მხატვარი-კალიგრაფისტი,
ირანის ისლამური რესპუბლიკა,
ქალაქი ისპაჰანი

სკანდალების მოყვარულები ნუ წაიკითხავენ!

დიახ, ეს თხოვნა მაქვს: სკანდალების მოყვარულები ლიტერატურის კრიტიკოსზე ამ პაწია ნაწერს ნუ წაიკითხავენ.

და თუ მაინც არ დაიშლიან და წაიკითხავენ, ახლავე ვამცნობ: გულდაწყვეტილნი დარჩებიან, რადგან გულდამჯდარი ანალიზის მიმდევარ კრიტიკოსზე ვწერ. მას იზიდავს მხატვრული ნაწარმოების პროფესიული განსჯა-განხილვა, მისი მიღწევების, ღირსებების წარმოჩენა. ეს კი ერის შვილთა ღვაწლის წარმოჩენის მაუწყებელია. ამიტომ მის ნაწერებში ვერ წააწყდებით ამა თუ იმ მწერლის ლანძღვა-გამასხარავებას. დამცირებას ხომ ვერა და ვერ შეხვდებთ. ამ მიზეზების გამო მისი ნაწერები, შესაძლოა, მოსაწყენადაც კი მოგეჩვენოთ. მოსაწყენად მოგეჩვენებათ ჩემი ეს შეხმიანება-მილოცვაც კრიტიკოსის 70 წლისთავისა. არც არავის ვეძიძგილავები, არც ვინმეს თვალში ბეწვს დავეძებ. მეც მისებრ მწადია წარმოვაჩინო მწერლის ღვაწლი, ის, რასაც მან მიაღწია. აბა, დღეს ასეთ რამეს ვინ კითხულობს!

ამიტომ მივმართავ სკანდალების მოყვარულთ: სჯობს ამ მილოცვა-მისალმებას თვალი აარიდოთ - არ შეამჩნიოთ.

თითქოს ყველაფერი ვიცოდი ავთოზე, სამწერლო სარბიელზე გამოჩენის დღიდან თვალს ვადევნებდი მის ლიტერატურულ ანალიზს ამათუიმ მწერლისა, თუ შემოქმედებითი პროცესისას ხშირად ვკითხულობდი, ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების მეთაურად რომ ვირჩევდით, ყველაფერს კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, მაგრამ ვიდრე ამ 70 წლის მისალოცად ბარათს დავწერდი, კიდევ ერთხელ გადავხედე მის შრომებს და სახტად დავრჩი - დრო გარბის, დროით მოუხელთებელი სრბოლა თვალსადახელშუა გვაცლის იმას, რაც ესოდენ ძვირფასია: ყურადღებით ვაკვირდებოდეთ მეგობარ-ამხანაგების შემოქმედებით ცხოვრებას, მხოლოდ მათი პირველი ნაწარმოებებით არ ვმსჯელობდეთ მათს შემოქმედებაზე, ვიცოდეთ, განვითარების რა გზა გაიარა (ან სულაც ვერ გაიარა!). დღეს, 70 წლის მიჯნაზე, ავთოს შესწავლილი და გამომზეურებული აქვს მთელი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა - იმათი მემკვიდრეობა, ვისაც თავისი ღწვით წვლილი შეუტანია ქართული კაზმულსიტყვაობის განვითარებაში. ამ კრიტიკოსის ყურადღების ცენტრში მოქცეულა ის, რაც მწერალს სრულყოფილად წარმოაჩენს - მიღწევები. არ წერს იმათზე, ვინც სრულყოფას ვერ მიაღწია. იგი მეტწილად მკვლევარია, შეფასების პრეროგატივას კი მკითხველს უტოვებს, თუმცა, ის ფაქტი, რომ იგი არ წერს ამათუ იმ მწერალზე, არ იკვლევს მის შემოქმედებას, ეს უკვე თვალნათელი პოზიციაა - შეფასებაცაა. ამიტომ, ვისაც სწადია, კარგად იცოდეს ქართული მწერლობა ვასილ ბარნოვიდან ოთარ ჭილაძემდე, მის ნაწერებში ბევრ საინტერესო მოსაზრებას ჰპოვებს.

იმ დროში, როცა ბევრმა ადამიანმა სკანდალური ფრაზებით, პასაჟებით მკითხველს თავი დაამახსოვრა და დღეს მეტრად წარმოჩენასაც ლამობს, ავთო ნიკოლეიშვილზე დავწერე სკანდალური არ არის მეთქი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ნაწარმოებში ნაკლს ვერ ხედავდეს. ამის დასტურად ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო: ეს ამბავი ბარე ათი წლის წინათ იყო: ერთ-ერთი ქართული თეატრი საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გახლდათ მიწვეული. თეატრს მეც ვახლდი, როგორც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორი. გავიგე, რომ ავთო და მისი მეგობარი პოეტი ომარ გვეტაძე ამავე ქალაქში იმყოფებოდნენ. სპექტაკლზე ორივე მოვიწვიე. წარმოდგენის შემდეგ ავთომ სპექტაკლზე კრიტიკული შენიშვნები გამიზიარა. მართალია, მე ეს შენიშვნები არ გავიზიარე, მაგრამ ნათქვამი მიდასტურებდა მისი აზროვნების სისტემას.

ავთო ჩემთვის იმითაც გახლავთ საინტერესო, რომ მან ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთი დიდი საქმე გაასრულა - კარგად შეისწავლა და წარმოაჩინა დავით და გერცელ ბააზოვების ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნაშრომი მიუძღვნა ებრაულ თემას ქართულ მწერლობაში, იმას, თუ რომელი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არის წარმოჩენილი ებრაული ყოფა. ებრაული თემატიკის გაზეთი „მენორა" რამდენიმე წელი ბეჭდავდა მის ნააზრევს - ფრიად საჭიროს. ავთოს ამ კვლევის შედეგად ჩვენ დღეს ხელის გულზე გვიდევს ქართველ მწერალთა ნააზრევი ამ მიმართებით - შესწავლილია კიდევ ერთი თემა ქართული მწერლობისა.

გულიც კი მწყდება, ეს თემა რომ ამოიწურა და დღეს ავთო აღარც ისეთი ხშირი სტუმარია ჩვენი გაზეთისა, მაგრამ ვიცი რა მისი კვლევის დაუცხრომელი ჟინის ამბავი, მჯერა, კვლავაც მალე გამოჩნდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ჩემო ავთო ბატონო, ებრაულ სამყაროს კარგად იცნობ, წმინდა მიწაზე არაერთხელ ყოფილხარ, იქ ბევრი მეგობარი გყავს. ამიტომ მინდა ებრაულად დაგლოცო: ებრაელები დაბადების დღეზე იუბილარს ეუბნებიან:

ადმეავეესრიმ!

ასოც წლამდე იცოცხლეო. ეს მოშე რაბეინუს - ჩვენი მოძღვარი მოსეს ასაკია.

იყოს ასე!

გურამ ბათიაშვილი

დრო და პიროვნება

ჩემი აზრით, ადამიანის სასიცოცხლო დრო იმდენია, რამდენსაც უთმობს სასიკეთო საქმეებს.

ლოცვა და პოზიტიური მეცნიერება სიკეთის უმაღლესი გამოვლინებებია, უანგარო საეკლესიო თუ საერო მოძღვრობა კი - სიკეთის ქმნის პროცესი.

პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილს 1993 წლიდან ვიცნობ; ბევრ სხვა პროფესორსა თუ მოღვაწესაც ვიცნობ, მაგრამ არ მეგულება ადამიანი, ვინც ამდენ დროს უთმობდეს პედაგოგობასა და მეცნიერებას; შემიძლია ვთქვა, რომ სადღესასწაულო თუ სარიტუალო სუფრასთან მყოფიც კი მხოლოდ სახითაა მოტრიალებული ჩვენსკენ: რეალურად ისევ ახალ მონოგრაფიასა თუ ექსპედიციაზე ფიქრობს.

ფსიქოლოგები სამი სახის ადამიანს განასხვავებენ და ამბობენ:

ზოგი ადამიანი მხოლოდ არსებაა (ინდივიდია), ზოგი სუბიექტია, ზოგი კი - პიროვნება!

ჩემეული ინტერპრეტაციით, არსება მხოლოდ თავის თავს ირჩენს, სუბიექტი ქონებას აგროვებს, პიროვნება კი თავის სასიცოცხლო ენერგიას სხვებს ახმარს; სხვებისათვის დროის დახარჯვაა მეცნიერებისა თუ უანგარო პედაგოგობისათვის დახარგული სასიცოხლო დროა; ბატონი ავთანდილი გამორჩეული პიროვნებაა!

რექტორი როცა გახდა, ბატონი მაგალი თოდუას მიერ დაწყებული სასიკეთო საქმეები განავითარა; ახალიც დაიწყო. განსაკუთრებით დიდ ყურდღებას აქცევდა ქართველოლოგიურ დარგებს, რომელთა განვითარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართველი ერისათვის.

ვითომრევოლუციურ ტალღაზე მოსულთ ასპარეზს როცა უთმბდა, მე არ ვეთანხმებოდი, მაგრამ სიმშვიდით ცნობილ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაძაბულობის კერის შექმნას გადადგომა არჩია "კავკასიის ცარცის წრის" კეთილშობილი გმირივით; ერთი მხრივ, მართალიც იყო: რექტორობა ბევრ დროს ართმევდა მის მეცნიერებას.

ბოლო პერიოდში საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მყოფი ქართველების ბედითა და მათი კულტურის გადარჩენითაა დაინტერესებული; ესეც ლოცვასავით საქმეა და მიხარია, რომ ამ მიმართულებითაც ერთად ვართ.

წერილის დასაწყისში ადამიანის სასიცოცხლო დრო სიკეთით ქმნის დროით შემოვფარგლე. ბიოლოგიურ ასაკს კი ასე განვსაზღვრავ:

ბატონი ავთანდილი დაბადებიდან 70 კალენდარული წლის შემდეგ ისეთი ენერგიით ცხოვრობს და საქმიანობს, 100 წელსაც სიკეთის მკეთებელ მოღვაწედ შეხვდება.

ტარიელ ფუტკარაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლ ოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

მეცნიერი, მწერალი და მოღვაწე



იმერეთმა, ამ უდიდესმა ისტორიულმა და ულამაზესმა მხარემ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ლომის წილი დაიდო, რომ საქართველოში რენესანსი მეორედ აღორძინებულიყო. იმერეთი დღესაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ინტელექტუალური სამჭედლოა. ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი სწორედ ამ დიდი კულტურული ტრადიციების გამგრძელებელია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი დღეს უკვე ქრესტომათიულ მნიშვნელობას იძენს. იგი, როგორც მოღვაწე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეა და რუდუნებით იღვწის საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაფართოების, ეროვნული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში.

ვულოცავთ ბატონ ავთანდილს საამაყოდ გატარებულ შვიდი ათეული წლის იუბილეს! ვუსურვებთ ჯანის სიმრთელესა და ულევ წარმატებას, როგორც დიდებულ მეცნიერს, მწერალსა და მოღვაწეს!

დავით შემოქმედელი

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი,
გალაკტიონ ტაბიძისა და დავით აღმაშენებლის
პრემიების ლაურეატი,
ქართული კულტურის დესპანი

„მიზნები შორი" მოიახლოვა და აისრულა!

ზუსტად არ მახსოვს, იმ საუკუნის რომელი წელიწადი იდგა, არც ის მახსოვს, წლის რომელი თვე, გახლდათ, მხოლოდ ის ვიცი, გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო, თუმცა, ამას არც ისეთი არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ანდა, საერთოდ, არის კი ამის დაწვრილებითი დადასტურების საჭიროება?! რადგან მთავარი და აღსანიშნავი მხოლოდ ის ერთი გარემოებაა, როცა ბატონი დომენტი ახობაძის, ბუღალტრის — ზინა იოსელიანის და მდივან-მემანქანის — ლილი ქემოკლიძის საერთო ოთახში, ახალგაზრდა მწერლების თავშესაყარი და სულისმოსათქმელი ადგილიც რომ გახლდათ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მაშინდელი პასუხისმგებელი მდივანი (თავმჯდომარედ არ იწოდებოდნენ მაშინ), ცხონებული დავით კვიცარიძე შემობრძანდა, საპირისპიროდ მდებარე მისი კაბინეტის შებამბული, ბგერაგაუმტარი კარი მოღიავებულად დაეტოვებინა; აქაც ზღურბლს არ გადმოსცილებია, შუა კარში ჩადგა და, მგონი, არც მოგვსალმებია, ისე ამბობს:

— თქვენ იცით, ვინ იყო ახლა ჩემთან?

არ ვიცოდით და რა პასუხს მივცემდით, ყველამ — რაღა ყველამ — ლილიმ, ზინამ, დომენტიმ და მე — ერთმანეთს გადავხედეთ. დავითი დუმდა, იქნებ, ამით ჩვენი მოთმენის უნარს ამოწმებდა — ღმერთმა უწყის... მერე კი:

— აგერ, მამა-შვილი იყო, წკეპლივით ბიჭია, მთლად გამოხოხებული ლადია, ასათიანი... წმინდად ფრიადოსანი, ოქროს მედლის კანდიდატი...

მე დომენტის გადავხედე, იმანაც მრავალმნიშვნელოვნად გადმომკრა თვალი, რომ ამ დროს ლილის ხმაა:

— რომელი განათლების სამინისტრო ჩენ ვართ, პატივცემულო დავით!

— რა ენა გისწრებს, რაჭველი მაინც არ იყო, გოგო, დამამთავრებინე; მისი ოქროს მედალი სულაც არ მადარდებს, ისეთი ლექსები მიჩვენა, ვეღარ მოვითმინე, ვინმესთვის უნდა მეთქვა და სხვაგან სად წავსულიყავი, აქ შემოვედი, აი, მომისმინეთ. — მაინცდამაინც თავისგამყადრებელი კაცი როდი იყო, ამ ბიჭის სტრიქონების სიხასხასეს კი, რაღაცნაირად, უნაგირიდან ძირს ჩამოესვა, ხმა მშვენიერი ჰქონდა, შესახედაობაც მისი შესაფერი — ტანადად არ დაიწუნებოდა, ამ მომხიბვლელობას ძალიან შეეფერა ჩვენთვის უცნობი ჭაბუკის ლექსების გახმიანება:

— აი, ეს ბოლო ლექსიც, ცისარტყელა ჰქვია, სიტყვებში გამოძერწილი მშვენიერი ფერწერული ტილოა. — ასეთი შესავალი წაუმძღვარა, შემდეგ რვეული გადაფურცლა და აღფრთოვანებულად განაგრძო: „გოროზ მწვერვალზე ნისლი შეფრინდა, მაღლით ჩამოდის ოქროს ლარები. ცაზე გაბნეულ შავ ღრუბლებიდან მზე იჭვრიტება ქალის თვალებით. სულში რეკავენ მიზნები შორი, უკან რჩებიან გზები ღუმილით. მეყრება თმებზე მაისის თქორი და მეც ვიზრდები ნაკადულივით... მთა შეუპყრია ლამაზ ზმანებას, ველზე გაჭრილა ქარი ფრთამალი და წვიმისა და მზის დაზავება ზეცას შეუკრავს შვიდფერ ქამარით. ცა კვლავ იღვრება თქორის ლარებად, მიწას სიცოცხლით ევსება პეშვი და ცისარტყელა წყლის დასალევად მზის წრიაპებით ეშვება ხევში".

— როგორია, აბა! — ჩვენს პასუხს არც დალოდებია, შებრუნდა, კარი ისევ ისე ღია დაგვიტოვა, თავისი ოთახისა მიიკეტა და გაუჩინარდა...

შემდეგში გაცხადდა, ეს ოქროსმედლიანი ვანელი ჭაბუკი, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაერიცხა... მედლისთვის ფერი არ გაუხუნებია, წითელი დიპლომი მიამატა, მალე რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, მერე — ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი. „იზარდა ნაკადულივით" — ქართული სალიტერატურო აზროვნებისთვის საჭირო და სასარგებლო იმდენ წიგნს გვიწერს, ვირი ვერ წაიღებს ხურჯინით, ოღონდაც ახალგაზრდობამ წაიკითხოს, ისწავლოს, იშრომოს მისებურად... ოქროს მედლით გზაზე შემდგარს, ოქროს შუალედი არასოდეს დაურღვევია, ისე მივიდა სამოცდაათამდე; მჯერა, კიდევ მრავალ მრგვალ თარიღს გადაივლის ასე წელგამართული და ხელხვავიანი.

ვულოცავ ***ავთანდილ სამოცდაათიას — ნიკოლეიშვილს, ავთანდილ სამოცდათხუთმეტისა — ყურაშვილი.***

ავთანდილ ყურაშვილი

სადღეგრძელოს გარეშე

არიან ლიტერატორები, მთელი ცხოვრება ერთსა და იმავე თემებს ან მოტივებს რომ დასტრიალებენ, ვითომ უღრმავდებიან, სინამდვილეში, ამოჩემებულ ადგილს ტკეპნიან, ღრმა და საგულისხმო კვალს ვერ ამჩნევენ. ავთანდილ ნიკოლეიშვილთან პირიქითაა, მისი, როგორც მწერლისა და მეცნიერის სააზროვნო და საკვლევი არეალი მასშტაბურია და ამ მასშტაბურობას სიღრმეც თავისთავად მოსდევს და პირველხნულის შთაბეჭდილებაც ხშირად გაკრთება მის შემოქმედებაში. ძველ, ერთი შეხედვით, გაცვეთილ თემებსა და მოტივებს ისეთი კუთხიდან დაანახვებს მკითხველს, რომლის სიმართლეში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ქართული ლიტერატურის ისტორია ხელახლა რომაა დასაწერი, ქართველ მწერალთა თხზულებები თავიდან რომაა გასაანალიზებელი, ამას ის მიხვდება, ვინც კომუნისტთა ზეობის პერიოდშიც კარგად იცოდა, რაში — რას, ვისში ვის გულისხმობდა ესა თუ ის მწერალი, მაგრამ ქვეყანაში დამკვიდრებული იდეოლოგიური მარწუხები მისი გამჟღავნების საშუალებას არ იძლეოდა. ჰოდა, როცა თქმის უფლება მიეცა, უცებ დაანახვა მკითხველს სიმართლის გზა, სწორად შეაცნობინა, გააააზრებინა ძველი და ახალი ლიტერატურული პროცესები. ავთანდილ ნიკოლეიშვილის ბოლოდროინდელი წიგნები ლიტერატურის ისტორიის ერთიანი, ეროვნული ცნობიერების თვალთახედვით გააზრების ცდაა, ცდა, ჭეშმარიტად მართალი და წარმატებული. ამიტომ სულაც არავის გაკვირვებია, მისი ავტორობით ქართული ლიტერატურის ისტორია რომ გამოიცა. თუმც ამაზე სხვებიც იტყვიან. მე ასე გავაგრძელებ:

ბოლო წლებში ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ჩემი ფიქრით, საჩოთირო და საფრთხილო თემების მხატვრულ ანალიზსაც მოუხშირა, რაც ძალიან მახარებს. ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ეროვნული ერთობის საკითხზე სწორედ მისდარ ფრთხილ, მოზომილი თქმითა და მსჯელობით გამორჩეულ მწერალსა და მეცნიერს უნდა წამოეწყო სჯა-ბაასი. სხვას, შეიძლება, სულაც ნაჯახივით ეთქვა. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ისე თქვა და დაწერა, არავინ გააღიზიანა, თანაც, ფაქიზად გაამხილა სიმართლე, ჩვენი დიდი წინაპრების თვალთახედვიდან გაიაზრა და გაისიგრძეგანა სამუსლიმანო საქართველოს სვე-ბედი, მართლმადიდებელ ქართველთა შეცდომებიც არ დაივიწყა. ემიგრანტული ლიტერატურის კვლევასაც მოუხშირა — საქართველოს გარეთა ქართული ლიტერატურის უცოდინრად კნინი იქნება ჩვენი ფიქრი და მსჯელობა ძველსა და ახალ მწერლობაზეც.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. ბუნებრივია, პატარა მილოცვაში ყველაფერს ვერ იტყვი, ვერც გამოკვეთ. მინდოდა კი, მაგრამ ამაზე მეტად ის მინდოდა, სადღეგრძელოს არ დამგვანებოდა შვიდი ათეული წლის მილოცვა ავთანდილ ნიკოლეიშვილისთვის.

თუ გამომივიდა, ხომ კარგი, თუ არადა, ყველაზე მოკლედ დავასრულებ:

გილოცავთ!

ელგუჯა თავბერიძე

მრავალჟამიერ...

ავთანდილ ნიკოლეიშვილზე რომ რაიმეს თქმას დავაპირებ ხოლმე, უპირველეს ყოვლისა, მაინც მისი ლექსების წიგნი მახსენდება — პირველი კრებული, ნატიფი, ფაქიზი პოეზია, ის, რითაც გააცნო და დაამახსოვრა მკითხველს თავი — პათეტიკისაგან თავისუფალი, გულწრფელი ლირიკა. იმ ლექსებიდან ბევრი ზეპირად იცოდა მაშინ ჩემი თაობის მკითხველმა, ვიცოდი მეც.

მერე ის დრო გადავიდა. მოგვიანებით, 2000-იანი წლების დასაწყისში, ხელახლა გამოსცა ის ლექსები და „გამწყრალი მუზა" დაარქვა, ისევ შეგვახსენა, თუმცა ჩვენი თაობის მკითხველს შესახსენებელიც არაფერი სჭირდა, იმდენად შთამბეჭდავია ის პოეზია, „გამწყრალი მუზა" კი, ალბათ, იმიტომ, რომ მერე, ასაკში, ძნელად ეწერებოდა ლექსი.

მთელი მისი შემოქმედება, შემდგომდროინდელი, დღევანდელი, პროფესიონალი პოეტის, და მეცნიერის თვალით დანახული და შეფასებული ლიტერატურაა და ამიტომაცაა გამორჩეულად ფასეული, რადგან, ასე მგონია, თუ თავად არა ხარ პროფესიონალი პოეტი, სხვისი პოეზიის სიღრმეებში ვერ შეიხედავ, შენი სიტყვა სანდო ვერ იქნება.

მახსოვს, ერთხელ თქვა, კაცმა ის უნდა წეროს, რაც კარგად გამოსდისო. ასეცაა!

მისი ყოველი ესეი, კრებული, მონოგრაფია, უპირველეს, სანდოობითა და მრავლისმომცველობით გამოირჩევა, ყველას იმას მიაგებს, რაც ეკუთვნის, ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

განსაცვიფრებელია მისი შრომისმოყვარეობა, — ესეც პროფესიონალიზმის კიდევ ერთი ნიშანია.

სწორედ სანდოობის, მრავლისმომცველობის, პროფესიონალიზმის გამო იქცა ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნები უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებად. ეს შემთხვევით არ ხდება.

მქონდა პატივი, მისი რამდენიმე წიგნისთვის მერედაქტორა, ბევრიც — ჟურნალში დასაბეჭდად მომემზადებინა. რედაქტორებმა იციან — ამ დროს სხვაგვარად, მეტად კრიტიკული თვალით, ასო-ასო კითხულობ ტექსტს, რომ არაფერი გამოგრჩეს, ამიტომ უფრო მკვეთრად, ნათლად ხედავ ხოლმე ავტორის ნაკლსაც, ღირსებასაც... ბატონი ავთანდილი ყოველ ჯერზე მაოცებდა ხოლმე შეფასებათა ზომიერებით, სიზუსტით, აკადემიურობით — არც ვინმეს ზედმეტს ეტყვის, არც დააკლებს, და რასაც იტყვის, ყოველივე შემოწმებულია, აწონილია.

თუ რაიმეზე გული მწყდება, ეგ არის — სალიტერატურო კრიტიკას, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს ნაკლებად სწყალობს ამ ბოლო დროს, არადა, იქნებ, როგორც არასდროს, ისე გვჭირდებოდეს დღეს ამგვარი შემფასებლები.

ამჯერად ჩვენს იუბილარზე ვრცლად საუბარი არ გამოგვივა — არც საიუბილეო მილოცვის ფორმატი მოგვცემს ამის საშუალებას და მეორეც — მისი წიგნებისა და სტატიების მხოლოდ ჩამოთვლაც კი ჟურნალის რამდენიმე გვერდს დაიჭერს.

ცალკე სათქმელია მისი საზოგადოებრივი ღვაწლი: იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, უნივერსიტეტის პრორექტორი, შემდეგ — რექტორი, ახლა ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალების რედაქტორი, საზოგადოებრივი და აკადემიური საბჭოების აქტიური წევრი, უამრავი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი... ყოველივეს ვერც აქ ჩამოთვლი.

უღალატო მეგობარი და კოლეგაა — საჭირო საქმეს არასოდეს გამოაკლდება, მხარში ამოგიდგება, ტვირთს შეგიმსუბუქებს... ეს მისი ცხოვრების წესია.

ყოველთვის იცის, რა სურს და რას როგორ მიაღწიოს.

ისიც იცის, სხვას რა სჭირდება და როგორ უნდა დაუდგეს გვერდით.

ყოველივე ეს, რაც ვთქვი და კიდევ ბევრი რამ, რაც არც მიხსენებია, ქმნის ერთ დიდ მთლიანობას — ჩვენი იუბილარის სახეს.

მინდა, ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცო უფროს მეგობარს, დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერება ვუსურვო თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად.

კარგია, როცა ამგვარ თარიღს ასე ხელხვავიანად ხვდები, როცა თავადაც გაქვს საამაყო, იმის გამო, რაც გაგიკეთებია და რაც მთავარია, მკითხველიც, საზოგადოებაც შესაფერისად გიფასებს ღვაწლს.

მრავალჟამიერ, ბატონო ავთანდილ!

თემურ ამყოლაძე

წვეულთა შორის რჩეული

ცნობილი მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ავთანდილ ნიკოლეიშვილს საიუბილეო თარიღი აქვს. არადა, იმდენად ახალგაზრდული ენერგიითაა აღსავსე, ცოტა მოულოდნელიც კი აღმოჩნდა ეს სოლიდური ასაკი. მას კარგად იცნობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. ქართველოლოგიურ წრეებში ის აღიარებული ავტორიტეტია, რომლის ფუნდამენტური კვლევები მნიშვნელოვანია განსაკუთრებით რამდენიმე მიმართულებით, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ზოგიერთს შევეხები.

1990-იანი წლებიდან მოკიდებული ბატონი ავთანდილი ავნგარდში დგას და საგანგებოდ იკვლევს ქართული ლიტერატურის იმ პრობლემატიკას, დღეს ყველასათვის კარგად ნაცნობი წარსულის გამო დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული რომ იყო.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის შთამბეჭდავ მონოგრაფიებსა და ნარკვევებში მასშტაბურად და სიღრმისეულად წარმოჩნდა XX საუკუნის ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ძალზე საგულისხმო ეპიზოდები, არაერთგვაროვანი განსჯისათვის საგულისხმო პლასტები. მეცნიერი ყოველთვის გულწრფელია, არგუმენტებით დატვირთულია მისი შეფასებებიც. დღეს საბჭოთა კლიშეებისაგან გასათავისუფლებლად და ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი XX საუკუნის მწერლობის, მეცნიერული გადაფასების თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ძალისხმევაა გაწეული, არაერთი სამეცნიერო სიმპოზიუმი მიეძღვნა ამ საკითხებს, პერმანენტულად ქვეყნდება წერილებიც, მაგრამ ბატონი ავთანდილის „ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების" 7-ტომეული და „XX საუკუნის ქართული მწერლობა" (2002წ.) თავის დროზე ერთადერთი ფუნდამენტური ნაშრომი იყო, რომელშიც სისტემატიზებულადაა მოცემული ქართველ მწერალთა შემოქმედების შესწავლის ისტორიაც და ახალი აზრობრივი პლანებიც. ამ წიგნების ღირებულება დღესაც თვალსაჩინოდ იკვეთება, ნათელია, რომ ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის საჭირო სახლმძღვანელოებია, რაც კარგად დადასტურდა იმ ფაქტით, რომ სულ რაღაც ორიოდე წლის წინ გამოვიდა „ქართული ლიტერატურის" ოთხი ტომი, რომელშიც ორი - XX საუკუნის ქართულ მწერლობა - სწორედ ავთანდილ ნიკოლეიშვილის ავტორობით დაისტამბა.

ბატონი ავთანდილი დიდი რუდუნებითა და ინტერესით იკვლევს უცხოეთში შექმნილ ქართულ ლიტერატურას. ქართველ ემიგრანტ მწერლთა უმეტესობას სამშობლოს გარეთ მიუწიათ სიცოცხლისა და შემოქმედების დასრულება. ისინი მოწყდნენ აქაურ ლიტერატურულ პროცესს და სხვა კულტურულ გარემოში აღმოჩნდნენ, რამაც ორმაგი დატვირთვა შესძინა მათს შემოქმედებას, რომლის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და ბატონი ავთანდილი დიდი გულისხმიერებით სწავლობს. ამ კვლევის არეალი არასდროს ყოფილა მხოლოდ ევროპული და ამერიკული ემიგრაციით შემოსაზღვრული, თურქეთსა და ირანში გადასახლებულ ჩვენს თანამემაულეთა შემოქმედების მოძიება, პუბლიკაცია, მეცნიერული ანალიზი საშური საქმეა და ამჯერადაც ავანგარდშია. ის თავის უპირველეს მოვალეობად თვლის იზრუნოს იმ კულტურული ურთიერთობების გასაძლერებლად, რომლებიც მათ ფესვებთან დააახლოებს, ჩვენ კი დაგვაკავშირებს სამშობლოს იმ ნაწილთან, ტრაგიკული ისტორიის გამო წინა საუკუნეებში რომ მოგვგლიჯეს. ასე გაჩნდა ბოლოდროინდელი ძალზე საგულისხმო წიგნები - „ლაზეთი. ისტორიულ-ლიტერატურული წიაღსვლები" (2016), „ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში" (2015), თურქულ ენაზე გამოცემული „ეტიუდები მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურიდან" (2015) მუზაფერ ქირისთან ერთად.

მე წილად მხვდა ბედნიერება, მის გვერდით ვიყო თითქმის სამ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში და კარგად ვიცი საერთოდ როგორ მუშაობს ბატონი ავთანდილი, მაგრამ „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიის" შედგენის პერიოდი განსაკუთრებით მინდა გამოვყო. ისეთი სიფრთხილით ეკიდებოდა იგი ამ თემას, ისეთი ემოციითა და პროფესიული დამოკიდებულებით ეპყრობოდა თოთოეულ სტრიქონს, სიტყვას, რომ შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიეპყრო.

ბატონი ავთანდილი, თავადაც დაუზარელი მკვლევარია, შეჩერებისა და ინერტულობის საშუალებას არც სხვებს აძლევს, იგი ავტორია არაერთი წარმატებული პროექტისა, რომლებიც თავის კოლეგებსა თუ დოქტორანტებთან ერთად განახორციელა, ზოგიერთი კი ამჟამადაც გრძელდება.

„მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი - რჩეულნი" - მათეს სახარების ეს შეგონება ზედმიწევნით იტევს სამეცნიერო ასპარეზსაც. ამ გზას ბევრნი შეუდგებიან, მაგრამ გამოჩენილნი ცოტანი ხდებიან. ბატონი ავთანდილი კი სწორედ ამ უკანასკნელთა შორისაა.

დღეს უკვე მრავალი რეგალიისა და მონოგრაფიის ავტორს, ფოლოლოგთა თაობების აღმზრდელს, ბევრი აქვს საამაყო, თუმცა უმთავრესი, ალბათ, მაინც სამომავლო გეგმებია, რომლებიც, ასევე, მრავალფეროვანი და დატვირთულია. ვუსურვებ მას კიდევ დიდხანს ნაყოფიერ და წარმატებულ მოღვაწეობას. ჩვენ თქვენი შემართება მხნეობას გვმატებს და სამომავლოდ მაგალითს გვაძლევს.

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მრავალმხრივი მოღვაწე

ფაქტია, რომ როცა კონკრეტული პიროვნების სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ვსაუბრობთ ან ვწერთ, არც თუ იშვიათად ქართველებს გარკვეული გადაჭარბება გეჩვევია. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, მკითხველი და მსმენელი დაბნეულია, ვერ გაურკვევია, როდისაა მთქმელი გულწრფელი და როდის სიტყვაუხვობს ყვარყვარეს „ბრძნადმეტყველებით". ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავშივე მინდა ვაუწყო მკითხველს, რომ აბსოლუტურად გულწრფელი ვარ ამ წერილის წერის დროს.

ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი მართლაც გახლავთ მრავალმხრივი მოღვაწე და იშვიათი ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა მის ლექციებს ვისმენდი, ძალიან სასიამოვნო იყო ქართული სამწერლო პროცესის მისეული მწყობრი, თანმიმდევრული, ფაქტებისა და არგუმენტების მოხმობით, კონკრეტული კულტურული თუ სოციალურ-პოლიტიკური ეპოქალური მოვლენების შეფასება. 80-იანი წლების ბოლოსათვის, როცა ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა და, ჩემი ფიქრით, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, თავი იჩინა ე. წ. „ურაპატრიოტიზმმა", რაც არანაკლებ საშიში მოვლენაა, ვიდრე ეროვნული ნიჰილიზმი და ზღვარდაუდებელი კოსმოპოლიტიზმი, ბატონი ავთანდილი დარჩა, როგორც ფაქტებისა და მოვლენების გულისხმიერად, გულმტკივნეულად, დარბაისლურად გამჩხრეკ-შემფასებელი. მაშინდელი საზოგადოების ერთი დიდი ნაწილისაგან ხშირად მომდინარე „რადიკალიზმის დაკვეთის მოთხოვნას" ყოველგვარი ცდუნების გარეშე აარიდა თავი. მერე იყო გასული საუკუნის შავბნელი, 90-იანი წლები, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის გზაჯვარედინული სიტუაცია, უდიდესი შეჭირვების ჟამი, რომელსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი დადებითი თვისება მაინც ჰქონდა — ყველამ და ყველაფერმა გამოავლინა და გამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი სახე. ბატონი ავთანდილი იმ პერიოდში ამქვეყნიურ თანამდებობა-მისიათა შორის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო საქმეს მსახურებდა. ის გახლდათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. თანამდებობა, დიდი ქონება ან დიდი სიდუხჭირე, უმრავლეს შემთხვევაში, პიროვნების ჭეშმარიტ სახეს მთელი სიცხადით წარმოაჩენს. ხშირად მინახავს მის კაბინეტთან ან კაბინეტში, არეული დროის გამო, უკაცრავად პასუხია, თავგასული, გადიდგულებულ-გავერაგებული ადამიანების წყება. ბატონი ავთანდილი ყოველთვის ახერხებდა, ყველასათვის შესაბამისი პასუხი გაეცა ყოველგვარი ხმის აწევისა და ექსტრემალური სიტუაციების შექმნის გარეშე, რომლითაც დიდად იყო დაინტერესებული „ქვეყნის ბედით გულატკივებულ", კაბინეტთან მომლოდინე „მამულიშვილთა" უმრავლესობა. იმ პერიოდში მისი დოქტორანტიც გახლდით და, როცა მსგავს სიტუაციას შევესწრებოდი, უკან გაბრუნებას დავაპირებდი ხოლმე, ვფიქრობდი, წუთის წინ ასეთ ბატალიებგამოვლილ ადამიანთან უხერხული იქნებოდა სამეცნიერო საკითხებზე და სხვა პრობლემებზე საუბარი. მაგრამ რექტორი თვითონ მიმიხმობდა და ისე მშვიდად, გულისხმიერად მომცემდა რჩევებს. მაშინაც მიკვირდა და ახლაც ფრიად მიკვირს, თუ როგორი ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზების ფასად ახერხებდა იგი ასე ღირსეულად თავის დაჭერას.

ბატონი ავთანდილი უდაოვოდ არის გამორჩეული ლიდერი, იგი მიზანს აღწევს არა ქვეშევრდომების შეურაცხყოფის გზით, არამედ დარწმუნებისა და შეგონების, იშვიათად დელიკატური „შეფუცხუნების'' მეშვეობით. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონდომებით, ქართული ლიტერატურის მიმართულების აკადემიურმა პერსონალმა რამდენიმე საჭირო წიგნი გამოსცა, რომელთაც სიამოვნებით წაიკითხავს დაინტერესებული მკითხველი.

ბატონი ავთანდილი არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარია, არამედ იგი გახლავთ დიდებული პოეტი და პროზაული ტექსტების ოსტატიც. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მართლაც ძნელია, ერთ სტატიაში ამომწურავად ისაუბრო მისი მართლაც მრავალმხრივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, თუმცა ერთი დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ მრავალ საჭირო საქმესთან ერთად, ამ ბოლო ხანს მან რამდენიმე სქელტანიანი, მართლაც რომ მრავალმხრივ საინტერესო წიგნი გამოსცა, რომლებშიც მონოგრაფიულადაა შესწავლილი საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეთა ფოლკლორი, მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედება და სხვ. ბატონი ავთანდილი ასევე აქტიურად თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან, შესანიშნავ პიროვნებასთან და მეცნიერთან, გამორჩეულ ქართველოლოგთან, თურქეთის რესპუბლიკის რიზეს უნივერსიტეტის პროფესორ ჰარუნ ჩიმქესთან. მასთან ერთად იგი არის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ პროექტისა, რომელიც ეხება XVIII-XIX საუკუნეების ქართული მწერლობის ნიმუშების შესწავლასა და გამოცემას თურქულ ენაზე. თავის დროზე, მისი ხელმძღვანელობით, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნოდარ დუმბაძის შემოქმედების შესახებ დისერტაცია დაიცვა ასევე ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულმა შესანიშნავმა მკვლევარმა და პიროვნებამ მუზაფერ ქირიმ. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ხშირად გამოხატავენ მადლიერებას ბატონი ავთანდილის ამ მამულიშვილური საქმიანობისადმი და ხშირად იწვევენ თურქეთსა და ირანში სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე.

მინდა, ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცო დაბადებიდან 70 წლის იუბილე, ვუსურვო ყოველივე საუკეთესო და ვუთხრა, რომ 70 წელი მისნაირი კაცისთვის ნამდვილად ბევრი არ არის. იგი ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით არის აღსავსე. ეს რომ ასეა, შარშანდელ ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში მასთან ერთად მონაწილე ბევრმა ახალგაზრდა უნივერსიტეტელმა ნახა, ჩვენი დიდებული წინაპრების მიერ მიუვალ ადგილებში ნაგებ, ხელთუქმნელ ძეგლებთან იგი ყოველთვის პირველი მიდიოდა და მხნედ და დაუღლელად გამოიყურებოდა.

სწორედ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჩვეული ენერგიითა და შემართებით საქმიანობას ვუსურვებ დიდხანს და დიდხანს, ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ლუკა დვალიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით

ღვაწლი მეცნიერისა

ქართულ ფილოგიურ მეცნიერებასა და მწერლობაში დღეს პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღიარებული სახელი და გვარია. ეს აღიარება დაფუძნებულია ათეული წლების განმავლობაში დაუღალავ მეცნიერული ძიებებით აღბეჭდილ შრომებზე და ქართული ლიტერატურის უდიდეს სიყვარულზე. და აი, მოსულა კიდეც „ჟამი სთვლისაი", საიუბილეო თარიღიც. ამ განვლილი სამოცდაათი წლის განმავლობაში მას ერთი დღეც კი არ უცხოვრია მამულზე ფიქრისა და მისი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის შესწავლისა და ამ კუთხით ქართული კულტურის სიდიადის წარმოჩენის გარეშე. მას, როგორც შესანიშნავ ფილოლოგს, მინიჭებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის მკითხველის სიყვარულია, იმ თაობების მიერ დაფასებაა, რომლებიც უახლესი ქართული ლიტერატურის ხიბლს ეზიარნენ მისი სახელმძღვანელოებითა და ლექციებით. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ფართო დიაპაზონის მკვლევარია. მეოცე საუკუნის ლიტერატურის ისტორიის შესწავლას მან შვიდი ტომი მიუძღვნა. ეს ის პერიოდი იყო, როცა მრავალი აღიარებული ლიტერატურული ნაწარმოები წარსულიდან მომდინარე ტენდენციური შეფასებებისაგან უნდა გათავისუფლებულიყო. საჭირო იყო ახალი ხედვა, კვლევის ახალი მეთოდები, მიდგომა, რათა გადაფასებულიყო ის ღირებულებები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ჩვენი მწერლობის განვითარების შემაფერხებლად იყო ქცეული. პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი ერთ—ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ახალი კუთხით წარმოაჩინა მიხეილ ჯავახიშვილის, კონტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, გალაკტიონის და სხვა მწერლთა შემოქმედების ძირითადი მიმართულებანი და ამით გზა გაუხსნა საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალი ლიტერატურათმცოდნეობის შემსწავლელ თაობებს. დიდი ღვაწლი დასდო მან ქართულ-ებრაულ, ქართულ-თურქულ, ქართულ-ირანულ, ქართულ-აფხაზურ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლას. ამ თემებზე მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სქელტანიანი ნაშრომი. შეიძლება ითქვას, რომ პროფ. გ. შარაძის შემდგომ ავთანდილ ნიკოლეიშვილი ერთერთი პირველია, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა და უცნობი მასალები მოიპოვა ქართული ემიგრანტული მწერლობის შესახებ.

ბატონი ავთანდილი შესანიშნავი პოეტიც გახლავთ. ამიტომაც ღირებულია მის მიერ უახლესი ქართული პოეზიის ტენდენციების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ასახულია მის ამ თემაზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებში, კრიტიკულ წერილებში, ესეებსა და ნარკვევებში. ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ ჟანრში — გამოაქვეყნა არაერთი სამოგზაურო-მემუარული ნაშრომი, რომელთაც დიდი ინტერესით შეხვდა ქართველი მკითხველი. და აი, ასეთ შემოქმედებით საქმიანობაში შვიდი ათეული წელიც გასულა. პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის მეცნიერული ღვაწლი მნიშვნელოვანი და გამორჩეულია ქართულ ფილოლოგიაში. იგი მართლმადიდებელი კაცია და უფალი მისცემს ჯანმრთელობას, კვლავ და კვლავ შეაძლებინებს ახალი ნაშრომების შექმნას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

***

ომარ გვეტაძე
პროფესორი

საიმედო პიროვნება

იშვიათია ადამიანი, რომელიც ისეთივე მონდომებული დარჩენილიყოს თავისი სიცოცხლის განმავლობაში, როგორიც სტუდენტობის ხანაში იყო.

საქმის ბოლომდე მიყვანის განუმეორებელი სურვილი, შრომისმოყვარეობა, ყოველი წუთის დაგეგმვა და დროის ეკონომიურად გამოყენების განწყობა, დასახული მიზნის მიღწევა... აი, ამ საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა ავთანდილ ნიკოლეიშვილი სტუდენტობის დროს და ეს ბუნება შენარჩუნებული აქვს დღესაც.

ლექტორების დასაყრდენი და საყვარელი სტუდენტი იყო. არ ყოფილა შემთხვევა, დაეგვიანებინოს, გაეცდინოს ან მოუმზადებელი მოსულიყოს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობებზე შესასწავლ ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერითა და სიყვარულით სწავლობდა. იყო წარჩინებული. ამუშავებდა თემებს და კითხულობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. მისი შესრულებული ნაშრომები არა მარტო სტუდენტების, არამედ — ლექტორ-მასწავლებლების ინტერესსა და მოწონებას იმსახურებდა. იყო მსჯელობა, კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა...

არჩეული იყო ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ. ეს საზოგადოება იმ პერიოდში პედინსტიტუტში არსებული ყველა ფაკულტეტისა და სპეციალობის სტუდენტებს აერთიანებდა.

თავისუფალსა და მოცლილს ვერ ნახავდით. აუდიტორიის გარდა, ხშირად შეხვდებოდით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, სამკითხველო დარბაზში, წიგნებით დატვირთული დადიოდა. უყვარდა პედინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და იქაური თანამშრომლებიც. დღესაც წიგნების სიყვარულით ცხოვრობს.

ინსტიტუტის მაშინდელი წესდების მიხედვით, სტუდენტებს სამეცნიერო საბჭოში ერთი ადგილი ჰქონდათ დათმობილი. ავთანდილი, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, არჩეული იყო პედინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. მესამეკურსელს ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდია დაუნიშნეს. სკკპ რიგებში სტუდენტობის დროს მიიღეს. ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. პარტიაში მისაღებად მთელი წლის განმავლობაში ინსტიტუტიდან მხოლოდ ერთ სტუდენტს ეძლეოდა რეკომენდაცია. ეს ერთიც ავთანდილი იყო.

ასეთი წარმატებების გამო ჩვენს თანაკურსელებსაც კი მისი დიდი რიდი გვქონდა, მაგრამ ჭკვიანი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ავთანდილი ყველა ამხანაგთან ერთნაირ დამოკიდებულებაში იყო. არავის გამოყოფდა. სადაც კი წავედით, ყველგან ჩვენ გვერდით იყო. კურსელების ჭირსა და ლხინს იზიარებდა. არასოდეს არავის დაკლებია. პირიქით, გაჭირვების დროს ყოველთვის პირველი მიდიოდა ისევე, როგორც — დღეს. ამიტომ საიმედოდ მიგვაჩნდა და ასეთივე გრძნობა გაგვაჩნია ამჟამადაც.

პოეზიის ნიჭით იყო დაჯილდოებული. ჩვენს თანაკურსელ ვაჟებთან ერთად პოეზიის საღამოებს აწყობდა. ახალგაზრდა მწერალთა წრეს ხელმძღვანელობდა ინსტიტუტში. ამ პერიოდში პედინსტიტუტში გამოდიოდა სტუდენტ შემოქმედთა ხელნაწერი გაზეთი „ფაზისი". ავთანდილი ამ საქმეს უნარიანად უძღვებოდა. „ფაზისში" გამოსაქვეყნებელ ლექსებს ჩვენი კურსელი მომავალი პოეტები: თეიმურაზ ლანჩავა, ჯემსი კეპულაძე, დემურ კირთაძე, სხვები და თვით ავთანდილიც ხშირად დასვენებებზე ან ლექციების შემდეგ გვიკითხავდნენ. ჩვენს ჯგუფში ამ დროს ემზარ გორდაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ავთანდილ ყურაშვილი, ოთარ ჭუმბურიძე და გენო კლდიაშვილიც გვსტუმრობდნენ.

„საღვთოდ გასაგონი და მსმენელთათვის დიდი მარგი" პოეზია ჩვენზე კარგ გავლენას ახდენდა. ეს პროცესი ისედაც გვსიამოვნებდა და კიდევ მეტად გვიმძაფრებდა პოეზიისადმი სიყვარულის გრძნობას. ამიტომაც თითოეული ჩვენგანი დღესაც ლექსების სიყვარულით ვცოცხლობთ. განსაკუთრებით ის მოგვწონდა, მათი შემოქმედების ნიმუშების განხილვის მომენტში ერთმანეთისადმი კრიტიკულ შენიშვნებს გულწრფელად, დაუფარავად რომ გამოთქვამდნენ, ზოგჯერ ლექსებს ლექსითვე უპასუხებდნენ, ერთმანეთს ფსევდონიმებს უგონებდნენ, ამა თუ იმ პოეტს ადარებდნენ, წლების შემდეგ ვინ ვინ იქნებოდა, იმაზედაც ამახვილებდნენ ყურადღებას. იყო ჟრიამული, ხალისი, მხიარულება, სტუდენტობის ხანის ბედნიერება და ერთმანეთის დიდი სიყვარული, რაც დღესაც გრძელდება.

ყველა თანაკურსელი ავთანდილს გულით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ, კვლავაც ასეთი ენერგიით, საქმის სიყვარულით, ამაღლებული განწყობით განეგრძოს ცხოვრება, ყოფილიყოს ჯანმრთელად მრავალჟამიერ.

იზოლდა რუსაძე

დარწმუნებული ვარ, ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის ამ ნომერში უამრავი მისალოცი წერილი, მოგონება და ნარკვევი იქნება ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილის შესახებ. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ დიდებულ პიროვნებაზე. ბატონი ავთანდილი გამორჩეულია, როგორც ოჯახის მეთაური, რა თქმა უნდა, როგორც მეცნიერი და გამომდინარე აქედან, როგორც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული სახე და სავიზიტო ბარათია და ამ მცირე წერილში ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, რომელიც ბატონ იუბილართან არის დაკავშირებული.

2012 წლის გაზაფხულზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ჰუმანიტარული მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ეროვნული კონფერენცია. კონფერენციაში მიწვეული სტუმრების სტატუსით ჩვენი უნივერსიტეტიდან მე და პროფესორმა რუსუდან საღინაძემ მივიღეთ მონაწილეობა. კონფერენციის სამუშაო პროგრამა ითვალისწინებდა თსუ-ს ახლად გარემონტებული პირველი კორპუსის დათვალიერებას. თსუ-ს ბიბლიოთეკაში ერთი საინტერესო მომენტის მომსწრენი გავხდით. ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რაოდენობა ასეთ ფრაზას იმეორებდა: „ნიკოლეიშვილი გვინდა". ნაცნობი გვარის გაგონების შემდეგ ბიბლიოთეკის თანამშრომელს ვკითხე თუ ვინ იყო „ნიკოლეიშვილი". (რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნათელი გახდა ვის შესახებ იყო საუბარი).

ბიბლიოთეკარმა „აგვიხსნა", რომ სტუდენტები ითხოვდნენ ქუთაისელი პროფესორის წიგნებს, რომლებიც ძირითადი სახელმძღვანელოები იყო თსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის. გითხრათ სიმართლე ღონისძიებაში მონაწილე ქუთაისელი სტუმრები ძალიან ამაყები ვიყავით ჩვენი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის ამგვარი საყოველთაო პოპულარობით.

ამავე დროს გვინდა ვთქვათ, რომ ბატონი ავთანდილის წიგნებით ისწავლება ქართული ლიტერატურის ისტორია საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ამ ერთი ამბის მოგონებით კიდევ ერთხელ გვინდა მივესალმოთ ჩვენს უფროს მეგობარსა და მასწავლებელს და ვუსურვოთ დღეგრძელობა და კეთილდღეობა.

სულხან კუპრაშვილი
ისტორია-არქეოლოგიის
დეპარტამენტის სახელით

ულევი სიყვარულის მფლობელი

კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდა ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აისაფეხურა კიდევ და უფრო გაფართოებული გამოჩნდა მისი მოედანი, რომელზეც კარგა ხნის წინ შეაბიჯა და დასახლდა. რასაკვირველია, ის მოედანი მაშინ პატარა იქნებოდა, თვალში რომ არ გეცემოდა, ისეთი, მაგრამ ახლა იმოდენაა, ათასობით თვალი ვერ გაწვდება. მონდომებული მზრუნველის ბეჯითობამ, შრომამ და ნაყოფიერებამ თავისი გაიტანა და სამფლობელოს ფართთან ერთად მისმა ღირებულებამაც იმატა. უკვე ათეულობით წელია თავად გახლავართ ამ მშენებლობის მომსწრე, შემყურე იმისა, თუ როგორი ჯაფითა და ოფლის ღვრით სცილდებოდა ბალავერს ამაღლებისკენ მიმავალი თითოეული კედელი, თითოეული მტკაველი ამ კედლებისა.

ხდება ხოლმე, სხვები წერენ რომელიმე რჩეულ პიროვნებაზე ვრცელ ბიოგრაფიებსა და ისტორიებს. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა მოასწრო უკვე სადღაც მომავალში მომლოდინე მის ღვაწლთა აღმწერელს და საკუთარი ხელით დაწერა არა მხოლოდ ფუნდამენტური ნაშრომები, არამედ თავისი ბიოგრაფიაც. მან დაუზოგავად გამოიყენა და დახარჯა საკუთარი შესაძლებლობანი ქართული მწერლობის მიღწევათა გამოსავლენად, განსაკუთრებით კი მეოცე საუკუნის მხატვრულ მესიტყვეთა ოსტატობის წარმოსაჩენად. ბოლო ორმოცდაათი წელია არავის ისე არ უზრუნვია წინა საუკუნის ლიტერატურული პროცესების ძირეული ძვრების მართებულად გათვალსაჩინოებისთვის, როგორც ეს შეძლო ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, საკმაო მოცულობის სამაგიდო ტომებად რომ გაგვაჩნია დღეს და თითოელ მათგანს სახელმძღვანელოს უფლება სამართლიანად აქვს მოპოვებული. შეიძლება წარმატებით მოახერხო მონოგრაფიების, დისერტაციების, სხვადასხვა ფილოლოგიური დოზირების მქონე ნარკვევების დაწერა,მაგრამ რამდენადაც ჩემი პატარა გამოცდილება მკარნახობს, სახელმძღვანელოს (სახელმძღვანელოების) შექმნა მხოლოდ იშვიათი მეცნიერული და პედაგოგიური ალღოთი დაჯილდოებულ მოღვაწეს ხელეწიფება (არა მხოლოდ ფილოლოგიაში).

ჩემი აზრით, ამ განსაკუთრებულობითაა სამაგალითო ავთანდილ ნიკოლეიშვილის საქმიანობა მის ამ სამოცდაათწლეულში. უფრო განსაკუთრებული კი მისი მწერლური ბუნებრიობა გახლავთ. სწორედ რომ ბუნებრიობაზე მოგახსენებთ და არა მწერლის ოფიციალურ სტატუსზე. ამიტომაცაა, რომ მის ნარკვევებს ყოველთვის ნატიფი ხელწერა ეტყობათ და მათი წაკითხვისას სქელტანიანი ლექსიკონების დახმარება არ გვიწევს, დანაწევრებულად მოჩანს არა მხოლოდ მოპოვებული მასალის ფასეულობა, არამედ მკვლევრის კვალიფიკაციის წონადობა, ძველი ინფორმაციის ახლებური დასაბუთებულობით გააზრება, მაცდუნებელი პროგნოზირების შემოთავაზება და, როგორც აღვნიშნე, ყველაფერ ამის მარტივად, საოცარი უბრალოებით მოწოდება.

არაერთხელ მიმილოცია ბატონ ავთანდილისათვის იუბილეებთან ერთად შემოქმედებითი წარმატებები და ყოველთვის ვგრძნობდი, საკმარისად არ გამომდიოდა სიტყვათქმა. ახლაც ასეა - ერთ პატარა მისალმებაში როგორ გინდა ჩაატიო,რასაც გულწრფელად ფიქრობ პიროვნებაზე,რომლის ნაღვაწის მხოლოდ ჩამოთვლა რამდენიმე გვერდს რომ მოინდომებს.

თუმცა მთლად მშრალადაც ვერ დავდგები. ბატონი ავთანდილი სამაგალითოა იმითაც, რომ მხოლოდ მეცნიერული ღირებულებებით აგებული კაცი არაა.ჩემი თაობის არაერთ ლიტერატორს გაუმართლა, ათეულობით წელი მასთან ერთად რომ მოგვიწია ურთიერთობა, მისი დაკვალიანებით რომ ავიდგით ფეხი და დღესაც არ განელებია ჩვენს უფროს მეგობარს ჩვენდამი სითბო და სიყვარული, ამიტომაცაა,რომ ჩვენც მისი და ჩვენივე ბიოგრაფიების განუყრელი ნაწილები ვართ.

ჩვენც (უამრავი სხვაც) ვდგავართ იმ მოედანზე ამ წერილის თავში რომ ვახსენე, ვდგავართ უზარმაზარი წიგნის სახლის აივნებზე, ოთახებში, კიბეებზეც, ეზოშიც, ყველგან ვდგავართ, სადღევანდელო გადასახედიდან რომ დაცქერს ბატონი ავთანდილი. ესაა მისი ოჯახი,მისი კარ-მიდამო, მისი მშობლიური მიწა-წყალი, მისი სული და გული - ქართული მწერლობა, ქართული ფესვები, ქართულობა.

და ეს ყველაფერი მაინც მასში ჩაბუდებული თავიდათავი სიყვარულია, ღვთიური ძალმოსილებაა, რომლის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ წარდგამდა წინ ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ასე წელგამართული ვერ იქნებოდა თავის სამოცდაათზე.ეს საგანძური მას არასდროს გამოელევა.

გია ხოფერია

"გზა მწვერვალისაკენ"

ასაკი ნამდვილად საიუბილეოა, ჭარმაგობის, ღვაწლმაგისა და ნამსახურების, დამსახურების, გადასახედის, გადმოსახედის, გაკეთებულის, გასაკეთებელის, ერთი სიტყვით, გული არ დაგწყდება ნამდვილად არის შეჯამების ასაკი: მოდით და ჩვენც შევაჯამოთ ჩვენი მეგობრობის ღრმა და შინაარსიანი ცხოვრება, რა თქმა უნდა, დეტალურად არ შევუდგები ყველაფრის აღწერას, მაგრამ მნიშვნელოვან ეპიზოდებს მაინც გავიხსენებ. მაშინ ერთად ვმუშაობდით ფილოსოფიის კათედრაზე ლაბორანტებად. შენ წერილი გამატანე შენს შეყვარებულთან, ის შეყვარებული დღეს შენი მეუღლე ქ-ნი მანანა ზივზივაძე გახლავს. გულამოსკვნილი რომ წერდი, "ნისლიანი ფიქრები, ჩამოშლილი თმები, ნეტავ გამაგებინა სულ არ გენატრებიო" — თურმე მასაც ენატრებოდი და შენს წერილს რომ გადავცემდი, იგი მთელ ჯგუფს უკითხავდა დიდი აღტაცებით, ასეთი ლამაზი მოგონებით მინდა მოგილოცო დაბადების დღე. ალბათ, შენზეა ნამდვილად ნათქვამი — „სადაც წახვიდე გზაც აგიმწვანეს, ლოდებიც გექცეს მებრძოლ ბიჭებად, იარო დევის ნაბიჯებს ჰგავდეს, შენი ყოფელი გადაბიჯებაო". ნამდვილად დევის ნაბიჯებით იარე ძმაო, შენი შეგნებული ცხოვრების გზაზე, შენ არ მიგიქცევია ყურადღება. რამდენი ძაღლიც შემოგიყეფდა ამ გზაზე, შენი მიზნის მიღწევას ბევრი სიამოვნება შესწირე, დაბრკოლებებიც გქონდა საკმაო, მაგრამ შენ მართლაც არ გაშინებდა დაღლა იმ მწვერვალზე ასასვლელად, რასაც მეცნიერების მწვერვალები ჰქვია — წარმატებული და გამარჯვებული კაცი ხარ ღვთისწყალობით, — წარმატებული მეუღლე, შვილები — შენს გზას გამოჰყვნენ — მათაც დიდი სიტკბო იგემეს მეცნიერების ხის ნაყოფისა — ყველას გვეამაყება და გვიხარია შენი სოფიკო მადრიდის (ესპანეთი) უნივერსიტეტში რომ კითხულობს ლექციებს. ორი შვილი და შესანიშნავი მეუღლე მისი ოჯახი ოქროს ფონდია — ოთიკო და მის მეუღლე თეა კაპანაძე — ჩვენი უნივერსიტეტის შესანიშნავი წევრები არიან — შვილიშვილები კი ოჯახის გვირგვინია.

ძმაო ავთანდილ, ცოტა შინაგანმა ინტიმმა გამიგრძელა საუბარი ოჯახზე, მაგრამ კაციობრიობას ჯერ არ შეუქმნია უფრო ღირსებული რამ, ვიდრე ოჯახია. რაც შეეხება შენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ამით არ დავღლი შენს კოლეგა-მეგობრებს, რადგან საქვეყნოდ აღიარებულია შენი დიდი წარმატებები. 50 წიგნი და 300-ზე მეტი სამეცნიერო წერილი შენი მეცნიერული წარმატებების დასტურია. განსაკუთრებით ბოლო წელს გამოცემული ოთხტომეული, რომელიც დამტკიცებულია, როგორც სკოლის, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სასწავლო სახელმძღვანელოდ და ფართო მკითხველისათვის საუკეთესო ლიტერატურულ გამოკლევად, რაც შეეხება საზოგადოებრივ მოღვაწეობას — ცხრა წელი უნივერსიტეტის რექტორობა ითვლება, ნამდვილად ძნელი და საამაყოც იყო, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღესაც შენი კოლეგები ისეთი პატივისცემით გექცევიან, როგორც მაშინ, ეს კი შენი ადამიანური ურთიერთობის ზომიერების დიდი მაგალითია. რაც შეეხება ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, აქაც ბევრი რამ გაქვს საამაყო — ქართულ-ებრაულ, ქართულ-თურქულ, ქართულ-სპარსულ სამეცნიერო ურთიერთობებში, მართლაც, თვალსაჩინო წარმატებები გაგაჩნია.

ძმაო ავთანდილ, მილოცვის წერილია და ბევრი, რომ არ გამომივიდეს, გილოცავ 70 წლის იუბილეს, შენს ძვირფას ოჯახთან ერთად ასე წელში გამართული, თავაწეული, მართალი და ბედნიერი კაცის უფლებით, შენი საძმოს, შენი მეგობრების, შენი ახლობლების საამაყოდ — წინ გიძღვოდეს შენი 95 წლის ღედიკოს ლოცვა სანთლად ანთებული.

უღრმესი პატივისცემით და დიდი სიყვარულით

შენი ძმა და მეგობარი

ოთარ ჭუმბურიძე
პროფესორი

ჩვენო ავთო, გილოცავთ!

70 წელი არცთუ ბევრია თითქოს, მაგრამ ამ ადამიანმა უამრავი ნაშრომისა და სახელმძღვანელოს, ქართული ლიტერატურის ისტორიის ამსახველი ათეულობით წიგნის შექმნა მოასწრო. არის ცნობილი კრიტიკოსი და მკვლევარი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული პედაგოგი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, წლების მანძილზე იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელი. და თითქმის ვერ ნახავთ ქუთაისის კულტურულ სივრცეში საღამოს, შეხვედრას, პრეზენტაციას, მსგავსი ლიტერატურული ხასიათის ღონისძიებებს, რომ მიკროფონთან ავთანდილ ნიკოლეიშვილი არ იდგეს, აუდიტორიას, დაინტერესებულ ახალგაზრდობას ქართველი მწერლებისა და პოეტების, ლიტერატურის ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთების შესახებ თავის დიდ ცოდნას არ გადასცემდეს.

მე და ჩემი თაობის ფილოლოგებს კი ახალგაზრდა პოეტი ავთანდილ ნიკოლეიშვილიც გვახსოვს - ჩვენი კურსის კურატორი და უფროსი მეგობარი, რომლის ლექსები ზეპირად ვიცოდით და წიგნაკებშიც მრავლად გვეწერა. გვახსოვს ჟურნალ-გაზეთებში გამოჩენილი მისი პირველი პუბლიკაციები და პირველი წიგნიც...

წლებმა წარმოაჩინეს მისი ნაღვაწი.

და ამასობაში გამონათებულა კიდეც შემოდგომის მზე.

ჩვენო ავთო!

გილოცავთ!

ნანული ცხვედიანი

სიტყვის მდინარე

„საით მივყავართ ამ სოფლის შარას,
ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ ყველა,
წყაროს სათავე ჯერ არ დამშრალა,
სიტყვა და აზრი მზესავით ელავს.

დრო გადის, თითქოს წლებს ვემალებით,
დღეს დრო და ჟამიც დიდებად გვათოვს,
თეთრი რაშების კვნესის ნალები,
ცაზე მთიების ლაშქარი ნათობს!

მოსკდება, მოქუხს სიტყვის მდინარე,
მოქრიან ზღაპრის ბედაურებიც
და რთველი გიდგას მართლაც ბრწყინვალე,
ქართული სიტყვის მეთაურობით!

განუზომელი შრომა და ფიქრი
დევს ღვთის ნობათად ამდენი წიგნი
რწმენა - იმედით მლოცველი ირგვლივ,
მომავალს ახალ საუნჯეს მიჰგვრის

დრო მიდის, წლები მრავლისმნახველი,
თაკარა ლექსის სტრიქონს მიარხევს,
ჩემი სიტყვა და ჩემი სათქმელი,
დღეს ამ ლექსისთვის შემოვინახე."

ნაზი ხელაია

ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს

გონი ბოძებული უფლისგან
საჩუქრად,
თვალს გვიხელს, საქმისკენ
მიილტვის ძალუმად.
სიტყვები ნაქარგი სინათლის
სხივებად,
ყოველ წამს გვანიჭებს სიხარულს
სანუკვარს.
სიმართლე, ნათქვამი ბრძნულად და
მხატვრულად,
გვიქადის სიამეს მოხეთქილს
ტალღებად,
მივყვებით დინჯად და აუჩქარებლად,
ცოდნისკენ სავალი ბილიკის
საძებრად!

მონიკა ჯიჭონაია

ასე ფიქრობენ, ასე ამბობენ, ასე უყვართ...

მარინა ქაცარავა (პროფესორი): ბატონ ავთანდილთან თბილი მოგონებები გვაკავშირებს. ბევრი ჩვენგანი მას სტუდენტობიდან იცნობს. შემდეგ კოლეგებიც გავხდით. ათეული წლები ერთად ვმოღვაწეობთ. არასოდეს გვინახავს, ვინმეზე უპატიოდ და უშვერად მოლაპარაკე. იგი სხვათა ჭირისა და ლხინის გამზიარებელია. ბატონი ავთანდილის მრავალმხრივი მოღვაწეობა პარმონიულად ითავსებს მომავალი თაობების აღმზრდელის უმნიშვნელოვანეს, პოეტის, კრიტიკოსის, ლიტერატურული გემოვნების რედაქტორის, საქმეს.

რუსუდან საღინაძე (პროფესორი): თითქმის ოცდაათი წელი გასულა მას შემდეგ, რაც ბატონ ავთანდილს შევხვდი პირველად. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს, ეროვნული მოძრაობის წლებს, უკავშირდება ეს შეხვედრა ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (შემდგომში ტექნიკურ უნივერსიტეტში), სადაც გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე დაისვა საკითხი ქართული ენის კათედრის გახსნის შესახებ. მალე სიტყვა საქმედ იქცა: შეიქმნა ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ისტორიის გაერთიანებული კათედრა, რომლის ხელმძღვანელადაც პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი დაინიშნა. ამ კათედრაზე ბატონმა ავთანდილმა თავი მოუყარა ჰუმანიტარული დარგის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს (ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს...). დიდი ბედნიერება იყო მათ გარემოცვაში ყოფნა. ბატონი ავთანდილი ყველას გვაერთიანებდა და, პირველ ყოვლისა, გვიჩვენებდა საუკეთესო მაგალითს ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და პატივისცემისა, აგრეთვე, იმისა, თუ როგორ უნდა მართო, როგორ უნდა გაამარტივო ურთულესი პრობლემაც კი ისე, რომ გაოცებულმა თქვა: უი, ეს რა ადვილი ყოფილა!..

ჩვენი საქმიანი ურთიერთობის უწყვეტი ოცდაათი წლის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი შემიძლია გავიხსენო, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვყოფ ბატონი ავთანდილის მხარდაჭერასა და დამოკიდებულებას ემიგრანტებისადმი, თურქეთელი და ფერეიდნელი ქართველებისადმი, თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე უნივერსიტეტში არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობისადმი. გავიხსენებ იმ კეთილგანწყობას, რომელიც რიზეს უნივერსიტეტის სტუდენტებთან პირველივე შეხვედრისთანავე მოიპოვა ღირსეულმა პროფესორმა. იგი ყოველთვის ერთგულად დგას იქ, სადაც წყდება ჩვენი ქვეყნის, ქართული ენის, ჩვენი ქალაქის, უნივერსიტეტის ღირსებისა და მომავლის საკითხი.

ვულოცავ ბატონ ავთანდილს იუბილეს, ვუსურვებ მხნეობას, კეთილდღეობასა და კვლავინდებურად შრომის ნაყოფით დახუნძლულ წელთა სიმრავლეს!

ნინო ფხაკაძე (ასოც. პროფესორი): ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი — აკადემიურ სივრცესა და ოჯახურ გარემოში თანაბრად ღირსეული, პატივსაცემი, ქალაქისა და ქვეყნისათვის გამორჩეული პიროვნება, დიდი საუნივერსიტეტო ისტორიის განუყრელი ნაწილი, საგანმანათლებლო ინიციატივების ავტორი და განმახორციელებელი, კოლეგიალური პროფესორი, მრავალი სტუდენტის, მაგისტრანტის, დოქტორანტის, ახალგაზრდა მკვლევრის აღმზრდელი, სიტყვაში გაცხადებული ნიჭის უბადლო შემცნობი, ფართო დიაპაზონის კრიტიკოსი, პოეტური სიტყვაკაზმულობისა და პროზაული საუნჯის ქართველური მეისტორიე, რომლის შემოქმედებითი ბიოგრაფიაც ნიშანდებულია ფუნდამენტური კვლევებით, ავბედითი ქარტეხილების გამო ეროვნულ სხეულს დაშორებულ ქართველთა შეუდარებელი გულშემატკივარი, ისტორიასა და მეცნიერებაში მათი „დაბრუნების" სურვილით გულანთებული მკვლევარი. ბატონი ავთანდილისთვის დამახასიათებელია მეცნიერული სიღრმე, ეროვნული სულისკვეთება, ინტელექტუალური ხედვა, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, ლიტერატურული სული, ადამიანური უშუალობა...

მრავალჟამიერ მის ნიჭსა და საქმიანობას სხვათათვის სასიკეთო ღვაწლის გასასხივოსნებლად!

იზოლდა რუსაძე (ასოც. პროფესორი): დასაფასებელია ბატონი ავთანდილის წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო სკოლის მოსწავლეების მოზიდვის მიზნით. ის უნივერსიტეტში მუშაობის დღიდანვე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლექტორი, ზრუნავდა მოსწავლეებში ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესიის სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვისათვის. სისტემატურად მონაწილეობდა და დღესაც აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა სასახლის მიერ ჩატარებულ თვითშემოქმედებით სამეცნიერო კონფერენციებში. იყო პერიოდი, როცა მოსწავლეთა სასახლეში დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოდიოდნენ მეექვსედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეები თავიანთი ნაშრომების დასაცავად და გულისფანცქალით ელოდნენ პროფესორ-მასწავლებლების შეფასებას. ბატონი ავთანდილი კი ყოველ წელს აქ კომისიის თავმჯდომარე იყო. ის გულდასმით უსმენდა ყველა მოსწავლეს, აძლევდა შესაფერის რჩევა-დარიგებას. მან ბევრ ლიტერატურისმოყვარულს გაუკვალა გზა შესაბამისი მიმართულებით.

ეკა დადიანი (ასოც. პროფესორი): ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ღირსეული პიროვნება, უზადო მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე... შემკულ-დაჯილდოებულია ყველა იმ ადამიანური ღირსება-თვისებით, რაც ადამიანს სრულყოფილს გახდის: ნიჭი, საქმის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, დიდი ნებისყოფა, მაღალი პასუხისმგებლობა, კოლეგიალობა, მეგობრობა... ბატონი ავთანდილის დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგი სახეზეა: ის მრავალი მნიშვნელოვანი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. მისი სახელი უპირველესად პროფესიონალიზმსა და წარმატებასთან ასოცირდება. სწორედ ბატონი ავთანდილის მსგავსი ადამიანები ქმნიან უნივერსიტეტის და, ზოგადად, ქვეყნის წარმატებას. მეამაყება, რომ ვიყავი მისი სტუდენტი, ამჟამად კი ვმუშაობ იმ დეპარტამენტში, რომელსაც წლებია ღირსეულად უძღვება.

ბატონი ავთანდილი თავაწეული და ვალმოხდილი ხვდება 70 წლის იუბილეს. ვულოცავ ამ მნიშვნელოვან თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, დასახული მიზნებისა და გეგმების შესრულებას. დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთი საინტერესო ნაშრომით გაახარებს სამეცნიერო საზოგადოებას.

მარინე კუხალაშვილი (ასოც. პროფესორი): დიდი სიყვარულით, ულევი ლამაზი, კეთილი და საუკეთესო სურვილებით, ვულოცავ ბატონ ავთანდილს საიუბილეო თარიღს. ის ყველა იმ თაობის საყვარელი პედაგოგი და აღმზრდელი ბრძანდება, ვისაც ჩვენს უნივერსიტეტში ფეხი აუდგამს მრავალი წლის მანძილზე. მის ცხოვრებაში ერთი დღეც არ ყოფილა საყვარელი საქმიანობის გარეშე. არის ობიექტური, პუნქტუალური, ენერგიული, საგნის მცოდნე, ნიჭიერი, საერთო საქმისათვის თავდადებული, სტუდენტის ცოდნისა და ნიჭიერების დამფასებელი. მან ღირსეულად განვლო გზა სტუდენტობიდან დღემდე და იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს შეუერთდა, რომლებიც ავტორიტეტს უქმნიან ქალაქს, უნივერსიტეტს და აქვთ მორალური უფლება, ამაყად დააბიჯებდნენ მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში.

ბატონ ავთანდილს ახლა, განვლილი ცხოვრების გადმოსახედიდან, შეუძლია იამაყოს გაკეთებული საქმეებით, მის მიერ გაზრდილი სტუდენტებით, არაჩვეულებრივი ოჯახითა და საუკეთესო შვილებით, შვილიშვილებით.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ვულოცავ აწსუ ხელმძღვანელობას, მისი სამეცნიერო საბჭოს მთელ შემადგენლობას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს, ბატონ ავთანდილს კი ვუსურვებ მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს მეცნიერებისათვის ღირებულისა და საინტერესოს შექმნით!

მაია მიქაუტაძე (ასოც. პროფესორი): ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილზე საუბარი რთულიც არის და მარტივიც: მარტივია იმდენად, რამდენადაც მასზე საუბრისას არ გჭირდება ფიქრი, რა უნდა თქვა, რით დაიწყო; სიტყვები თვითონ მოდის და თანაც ისე, რომ ერთმანეთს ეცილებიან: ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, საქმისადმი უდიდესი სიყვარული, შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა, კოლეგიალობა, საკვლევი საკითხების სიღრმისეული წვდომით დაწერილი მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სამეცნიერო პუბლიკაცია... რთულია იმდენად, რამდენადაც რაღაც აუცილებლად დაგრჩება უთქმელი... ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერი, კოლეგა, მასწავლებელი...

ვულოცავ, ბატონ ავთანდილს! კვლავაც დიდხანს და ნაყოფიერად გეღვაწოს ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის!

ლუიზა ხაჭაპურიძე (ასისტ. პროფესორი): „მშვიდი, გაწონასწორებული, დაუღალავად მშრომელი ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ჩემთვის ლიტერატურის არქეოლოგია, მივიწყებულ, ისტორიის მტვერში დაფარულ გმირობებს რომ აღმოაჩენს და მათ ახალ სიცოცხლეს სჩუქნის...

„აზროვნება არის ჩუმი საუბარი ღმერთთან წარსული შეხვედრების შესახებ ანუ ეს არის სიტუაცია, როდესაც რაღაც ხელახლა იბადება, მაგრამ განახლებული და აღორძინებული" (მ. მამარდაშვილი). შემიძლია, ვთქვა, რომ ბატონი ავთანდილი ის მოაზროვნეა, რომლითაც ამაყობს ქუთაისი და ჩვენი მშობლიური აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულება

ქართული კულტურის რაინდი

დრო თვალისდახამხამებაში გადის, მის კვალდაკვალ ადამიანებიც იცვლებიან, მაგრამ დიდი პიროვნებები ახერხებენ მის დამორჩილებასა და რაციონალურად გამოყენებას ისე, რომ ინარჩუნებენ თვითმყოფად სახესაც და მონოლითურობასაც. ასეთი ადამიანები ღირსებებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და კომპრომისებზე თითქმის არ მიდიან. სწორედ ასეთი გახლავთ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მესაჭე და მეთაური პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

იშვიათად შეხვდებით ისეთ ენერგიულ, ენთუზიაზმით გამორჩეულ, სიახლეებისადმი გახსნილ ადამიანს, როგორიც ბატონი ავთანდილია. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც დროს ეტოქება და ჯაბნის, ვისაც წინააღმდეგობების არ ეშინია, ვისთვისაც უმაღლესი ღირებულებები ხელშეუხებელია, ეროვნული ფასეულობები და ადამიანური ურთიერთობები - პრიორიტეტული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ავთანდილის დამსახურება და ღვაწლი ეროვნული მუხტის გაღვივებისთვის. ამაზე მეტყველებს მისი ზრუნვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომოფანტულ მართლმადიდებელ, კათოლიკე თუ მაჰმადიან ქართველთა მიმართ. თუ ვინმეს კალამი უჭრიდა, ან ახლა მოღვაწეობს და გამწყრალი არ არის მხატვრულ მუზას, ყველას მოეფერა და თავისი ყურადღების არეალში მოაქცია, რაც აისახა კიდეც მისი ავტორობით გამოცემულ წიგნებში. მას არც ქართველთა მოძმე ებრაელი ერი დავიწყებია და სათანადო პატივიც მიაგო ქართველი ებრაელების ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვან ძმობას წიგნში „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში" (2008), რომელშიც განზოგადებული სახით არის წარმოჩენილი ებრაული საკითხისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულების უმთავრესი არსი და მიზანსწრაფვა.

ამაყები ვართ, რომ ბევრი ღირებულებით შემკული მეთაური ჰყავს ჩვენს დეპარტამენტს - ეროვნული მუხტით, სიყვარულით სავსე გულით, უსაზღვრო კეთილშობილებით, უღალატო მეგობრობით, კოლეგიალობით, ადამიანებისადმი დიდი სიყვარულითა და სტუდენტების მიმართ დაუღალავი მზრუნველობით გამორჩეული. ჩვენთვის ძალიან გულისამაჩუყებელია მისი გულისხმიერება თითოეული ჩვენგანის მიმართ. ხოლო რაც შეეხება ერუდიციასა და ღრმა პროფესიონალიზმს, ამაზე მეტყველებენ მისი რეგალიები, მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, რომლებითაც ცოდნას იძენენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

ბატონო ავთანდილ, ბედნიერები ვართ, რომ გვყავხართ და თქვენი არსებობით ჩვენც გვილამაზებთ ცხოვრებას და ჩვენს ქალაქს, უნივერსიტეტსაც უფრო მეტ ელფერს სძენთ. სამოცდაათი წელი შეგისრულდათ, თუმცა კვლავ ახალგაზრდა ბრძანდებით და გასაკეთებელიც ბევრი გაქვთ. ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენი ცხოვრების დანარჩენი აღმართებიც ასეთივე საინტერესო და წარმატებული იქნება, როგორიც წინა... დარწმუნებული ვართ, ბევრ ახალბედას ჩვენსავით ჩვეული უანგარობით კვლავ გაუკაფავთ გზას მეცნიერებისაკენ.

გისურვებთ, ჩვეული ენერგიით გაგეგრძელებინოთ აქტიური სისხლსავსე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, კვლავაც გეჭიროთ ხელი აკადემიური და საზოგადოებრივი ცხოვრების პულსზე, ისეთივე სითბოთი და მზრუნველობით შემოგეხედოთ ჩვენთვის, როგორც მიგვაჩვიეთ.

დიდ მადლობას გიხდით იმ მზრუნველობისთვის, გულისხმიერებისა და თანადგომისთვის, რასაც ჩვენი დეპარტამენტის წევრები ყოველთვის ვგრძნობთ თქვენგან.

ბედნიერ წელთა სიმრავლეს გისურვებთ თქვენს ლამაზ ოჯახთან და კეთილისმსურველებთან ერთად. უფალმა დაგილოცოთ და გიკურთხოთ ყოველი ნაბიჯი, დღე და წელი.

წლები მიფრინავენ სწრაფად,
თუმცა ვერ ტოვებენ კვალს,
ხედვა, მსჯელობა - დროის შესატყვისი,
ახალგაზრდული გაქვთ კვლავ.
დიდია სიღრმე თქვენი ნატერფალის,
ვერ წაშლის დრო მუხთალიც მას.
რამდენი წიგნები გაქვთ დასაწერი...
კულტურის რაინდო, ხვალ?!

მანანა ჭიჭინაძე

გილოცავთ!

ბ-ნო ავთანდილ, თქვენ ზრუნავთ ქალაქის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც მოსწავლეთა სასახლეში ქართული ენის ნორმების შემსწავლელი წრის წევრები არიან. სწორ მიმართულებას აძლევთ მათს გამოსვლებს და თქვენი რჩევით უკვალავთ გზას მომავალი მეცნიერებისაკენ. თქვენ ხომ უკვე მეათე წელია ყოველი მათგანის შეფასებაში მონაწილეობთ, როცა ისინი თავიანთი პარტარ-პატარა მოხსენებებით წელიწადში ერთხელ, აპრილში, სახელმწიფო ენის ზეიმის დღეებში, უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე გამოდიან, ზრდით მათ პატრიოტიზმის გრძნობით, უღვივებთ სამშობლოს, ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულს. გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ყოველივე კარგს.

ნარგიზ ჩეჩელაშვილი
მოსწავლეთა სასახლის ქართული ენის ნორმების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი

ჩემი მოგონებების ღირსეული პერსონაჟი

რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად შემახსენებს თავს მოგონებანი, რომლებიც კვლავაც ასაზრდოებენ ჩემს სულიერ ცხოვრებას და ხშირად, სიზმარშიც კი, მაბრუნებენ ქუთაისურ გარემოში. წარსულთან შეხვედრის ეს ფორმა განსაკუთრებით ფასეულია ჩემთვის დღეს — თანამედროვე ცხოვრების მეტისმეტად აჩქარებული ტემპის პირობებში, საკუთარ მე-ში ჩაძირულ პიროვნებათა გარემოცვაში...

მოგონებათა ამ „წიგნის" ძირითადი პერსონაჟები არიან შრომისმოყვარე, შემოქმედებითად წარმატებული და კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანები. სწორედ ასეთი რჩეულია ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჩვენი ავთო, თავისი კეთილი ღიმილითა და გულისხმიერებით.

...ნელ-ნელა იმარცვლება ფიქრთა კრიალოსანი, გონებაში კვლავ ცოცხლდება ჩვენი გულწრფელი, მეგობრული, ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის ამსახველი მოგონებანი, ნახევარსაუკუნოვან ისტორიას რომ ითვლის უკვე.

პირველი ეპიზოდი, რაც დღემდე მკაფიოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას, უკავშირდება ავთანდილის სტუდენტობას.

...პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდა (მე მაშინ ქართული ენის კათედრის ლაბორანტი ვიყავი). მომხსენებლები ერთმანეთს ცვლიდნენ, კამათობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ავთანდილი, ერთ-ერთ საკითხზე მსჯელობისას რამდენჯერმე გამოიყენა ფრაზა „ჩემი აზრით". მე მაშინ ცოტა კიდეც გამიკვირდა სტუდენტისაგან ასეთი „სითამამე". რატომღაც ჩემი თაობის სტუდენტები ასე საჯაროდ ვერ ვბედავდით ხმამაღლა გვეთქვა „ჩვენი აზრი". სწორედ იმ დღეს დავრწმუნდი, რომ ავთანდილს უკვე ჰქონდა მისაბაძი „სითამამე აზროვნებაში" და დამოუკიდებელი გზების ძიების უდიდესი სურვილი (რამაც ბუნებრივად განაპირობა მისი წარმატებული სტუდენტობა). ყოველივე ამას მაშინ თავისებურად ალამაზებდა ავთანდილის „ჭიდილი რითმებთან" და პირველი პოეტური სტრიქონებიც, ძალიან რომ მოსწონდათ სტუდენტ გოგონებს... ასე თანდათან ჩამოყალიბდა ჩვენ თვალწინ ერთი მაღალი, გამხდარი ვანელი ყმაწვილი გამორჩეულ კურსდამთავრებულად.

ავთანდილი პირველად ქართული ენის კათედრის ლაბორანტად დაინიშნა, თუმცა მეცნიერული კვლევის საგნად მაშინვე აირჩია ქართული ლიტერატურა. ამ გამოკვეთილ მიზანს დაემატა მისი გასაოცარი შრომისმოყვარეობა და წარმატებებმაც არ დააყოვნა: პირველ დისერტაციას მეორე მოჰყვა და ავთანდილმა, სრულიად ახალგაზრდამ, ლიტერატორთა შორის დამსახურებულად მოიპოვა აღიარება – ნიჭიერი მკვლევრის სახელი.

გადიოდა დრო. ლექციას ლექცია ცვლიდა, პარალელურად იწერებოდა საინტერესო გამოკვლევები სქელტანიანი წიგნები – სახელმძღვანელოებისა თუ მონოგრაფიების სახით. მიუხედავად ჩვენი განსხვავებული პროფესიული სფეროებისა, ერთმანეთის სამეცნიერო საქმიანობას კარგად ვიცნობდით არა მხოლოდ ნაშრომებით, არამედ ერთსა და იმავე სტუდენტურ აუდიტორიებში ლექციებითაც. გარდა ამისა, წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით მისაღებ გამოცდებზე, ვთანამშრომლობდით სხვადასხვა სახის საქალაქო თუ სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში და ა. შ. ყველაგან და ყოველთვის ჩვენ გვაერთიანებდა საქმის სიყვარული და პასუხისმგებლობა.

...ასე ნელ-ნელა ჩაიფურცლა ჩემი მოგონებების „წიგნი" და თვალწინ დამიდგა უკვე სამოცდაათიანელი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომელსაც გულწრფელად მინდა მივულოცო ეს საიუბილეო თარიღი და ჩემი მოკლე მოგონება დავამთავრო შემდეგი სიტყვებით: ნათქვამია, ამ წუთისოფელში ზოგი ბედით ცხოვრობს, ზოგი კი უბედობით; რომ ყოველი კაცის ბედისწერა დაბადებამდე ცაშია გადაწყვეტილიო... ასეა თუ ისე, შენ, ჩემო ავთანდილ, ნამდვილად ხარ ქუდბედიანი კაცი, უფლისგან ყოველმხრივ დალოცვილი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვა, ზენაარმა უხვად მოგმადლა ცხოვრებისეული სიბრძნე-სიკეთე და, რაც მთავარია, იმის ღრმა რწმენაც, რომ ადამიანი თავად ქმნის თავის მომავალს. შენ, ჩემო ავთანდილ, ნამდვილად ხარ ქუდბედიანი კაცი, უფლისგან ყოველმხრივ დალოცვილი. ზენაარმა უხვად მოგმადლა ცხოვრებისეული სიკეთე და იმის ღრმა რწმენაც, რომ ადამიანი თავად ქმნის თავის მომავალს.

დიახ, წლების განმავლობაში მოუღლელი შრომით, ნიჭიერებით, მიზანმიმართული საქმიანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შენ შეჰქმენი დღევანდელი ავთანდილ ნიკოლეიშვილი — თვალსაჩინო მეცნიერი, ხელხვავიანი მწერალი, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების წევრი, აკადემიების აკადემიკოსი და ა. შ. როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში; მშვიდი, ყოველთვის გაწონასწორებული ხელმძღვანელი... ერთი სიტყვით, ყოველმხრივ მისაბაძი და სანიმუშო პიროვნება.

ასე სვებედნიერი და წარმატებული გატაროს ღმერთმა ცხოვრების გზაზე, ყოველთვის ბარაქიანი იყოს შენი შემოქმედებითი შემოდგომა!

გისურვებ წელთა და წიგნთა სიმრავლეს!

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

იუბილეს ვულოცავთ ღირსეულ პიროვნებას, სულით ხორცამდე ქართველს, გამორჩეულ მეცნიერს, პროფესორს, აკადემიკოსს ***ავთანდილ ნიკოლეიშვილს.*** *მისი ღვაწლი განუზომელია ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, კულტურის, განათლების წინაშე. მრავალი იდეის ავტორის და მისი განმახორციელებლის, სხვა უამრავ სასიკეთო საქმეებთან ერთად, უდიდესი დამსახურებაა, ოცი წლის წინ, აწსუ გამომცემლობის დაფუძნება. ვუსურვებთ კიდევ ბევრ სასაქართველოო იდეებზე ეზრუნოს და ეფიქროს ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების სიყვარულით ანთებულ მის ნათელ გულსა და გონებას.*

აწსუ გამომცემლობა

გილოცავ დაბადების დღეს, მამა!

ჩემი შვილი - საბა ხშირად ამაყობს თავის სკოლაში, "სელებრითი" ბაბუა მყავსო. კაცი არ დადის საქართველოში, ავთო ბაბუს რომ არ იცნობდესო, ხშირად დაუტრაბახებია მეგობრებში და მეც ხშირად დავუმოწმებივარ, მის სიმართლეში რომ არ შეჰპარვოდათ ეჭვი მის მეგობრებს. მთელი საქართველოს სკოლებში და უნივერსიტეტებში ავთო ბაბუს წიგნებით სწავლობენო – ამაყად უყვება ყველას, ვინც მოუსმენს. არ ბეზრდება ბაბუს ქება, მისით თავის მოწონება...

ავთანდილ ნიკოლეიშვილი მართლაც ბევრისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მეცნიერი, მწერალი და პროფესორია. მაგრამ იმ ავთანდილს, ვიზეც დღეს მე ვწერ, ცოტა იცნობს. მე ჩემი და ოთიკოს მამაზე, საბას, ოლივიას, პატარა ათუკოსა და ნიაკოს ბაბუაზე ვწერ.

ნათქვამია, მშობლებს არ ირჩევენო. რომ ირჩევდნენ, ალბათ, ყველა შვილი ჩემნაირ მამას აირჩევდა. ჩემი ყოველი წარმატება მისი დამსახურებაა, ჩემი ყოველი გამარჯვება – მისი გვერდით დგომისა და მხარდაჭერის შედეგი.

მამამ შემაყვარა წიგნი, მამამ მასწავლა, რომ თავმდაბლობა სიმტკიცის მაჩვენებელია და არა სისუსტისა; რომ რასაც დათესავ, იმას მოიმკი...

მამამ მასწავლა, რომ რაც არ უნდა კარგი მშობლები და ქმარი ყავდეს, ქალს თავისი საყვარელი საქმე და პროფესია სჭირდება. ჩემს შესაძლებლობებშიც ეჭვი არასოდეს შეჰპარვია...

მეამაყება, რომ ასეთი მამის შვილი ვარ. მეამაყება, რომ ჩემს შვილებს ასეთი ბაბუა ჰყავთ!

მინდა, კიდევ დიდხანს გვედგეს გვერდით, კიდევ დიდხანს გვიმაგრებდეს ზურგს და გვაძლევდეს მაგალითს ადამიანობისას, სიკეთისას, სულგრძელობისას, ერთგულებისას...

გილოცავ დაბადების დღეს, მამა!

სოფიკო ნიკოლეიშვილი

მადრიდის ავტონომიური უნივერსიტეტის პროფესორი, ესპანეთი







ვულოცავ!

ვულოცავ ბატონ ავთანდილს იუბილეს. უდიდესია მისი ღვაწლი ქართულ მწერლობასა და განათლებაში. უდიდესია მისი ღვაწლი პირადად ჩემს კარიერაშიც, რისთვისაც ყოველთვის მადლიერი და დავალებული ვიქნები.

არიან ადამიანები რომლებიც განსაკუთრებით შეგაშველებენ ხელს, ინტერესს გამოიჩენენ და გვერდით დაგიდგენიან. ასეთი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში ბატონი ავთანდილი.

ამერიკაში სასწავლებლად წასვლა მისი დამსახურებით შევძელი, რამაც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრების მიმართულება და ისეთი გზები გამიხსნა, რასაც ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი.

გილოცავთ, ბატონო ავთანდილ, და მადლობას გიხდით ასეთი დიდი ღვაწლისთვის!

უღრმესი პატივისცემითა და მოწიწებით

ქეთი მამისეიშვილი

არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აკადემიურ დარგში (ამერიკის შეერთებული შტატები)

მთავარი რედაქტორი **გია ხოფერია**

რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**

კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com